



EUROPEAN COURT OF HUMAN RIGHTS
COUR EUROPÉENNE DES DROITS DE L'HOMME

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო

მეორე სექცია

საქმე “სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ”
(საჩივარი №18768/05)

გადაწყვეტილება

სტრასბურგი

2010 წლის 27 მაისი

საბოლოო გახდა
27/08/2010

წინამდებარე გადაწყვეტილება შესაძლოა დაექვემდებაროს რედაქციულ გადასინჯვას.

საქმეზე „სალინაძე და სხვები საქართველოს წინააღმდეგ“,

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს (ნაწილი მეორე) პალატამ, შემდეგი შემადგენლობით:

ფრანსუაზ ტულკენსი, სასამართლოს თავმჯდომარე
ირენეუ კაბრალ ბარეტო
ვლადიმერო ზაგრებელსკი
დანუტე იოჩიენე
დრაგოლიუბ პოპოვიჩი
ანდრაშ შაიო
ნონა წოწორია
კრისტინა პარდალოსი, მოსამართლეები
და *სალი დოლე*, სექციის რეგისტრატორი

2010 წ. 29 აპრილს გამართული დახურული თათბირის შემდეგ გამოაქვეყნა წინამდებარე გადაწყვეტილება, რომელიც ძალაში შევიდა ზემოთ აღნიშნულ დღეს:

პროცედურა

1. საქმის საფუძველია საჩივარი (№ 18768/05) საქართველოს წინააღმდეგ, რომელიც 2005 წ. 27 აპრილს, სასამართლოში შეიტანა საქართველოს ექვსმა მოქალაქემ, *ბათალბი სალინაძემ* („პირველი მომჩივანი“), *ლია სალინაძემ* („მეორე განმხცადებელი“), *ვასილ სალინაძემ* („მესამე მომჩივანი“), *ნანა ბლიაძემ* („მეოთხე მომჩივანი“), *ქეთევან სალინაძემ* („მეხუთე მომჩივანი“) და *ნინო სალინაძემ* („მეექვსე მომჩივანი“), ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის („კონვენცია“) 34-ე მუხლის შესაბამისად. საჩივარი თავდაპირველად შეეხებოდა მომჩივნების გამომევებას მათი საცხოვრებლიდან. 2006 წ. 13 დეკემბერს, პირველმა მომჩივანმა წარმოადგინა ახალი საჩივარი მის წინასწარ პატიმრობასთან დაკავშირებით.

2. მომჩივნებს წარმოადგენდნენ ბ-ნი *ზურაბ თოდუა* და ბ-ნი *მალხაზ პატარია* – ადვოკატები თბილისიდან. საქართველოს მთავრობას („მთავრობა“) წარმოადგენდა მთავრობის ყოფილი აგენტი – იუსტიციის სამინისტროს წარმომადგენელი – ბ-ნი *დავით თომაძე*.

3. 2007 წ. 29 აგვისტოს, მთავრობას ეცნობა საჩივარის შესახებ, კონვენციის მე-3, მე-5 (§§ 3 და 4) და მე-8 მუხლებისა და პირველი დამატებითი ოქმის I მუხლის შესაბამისად. მიღებული იქნა გადაწყვეტილება საჩივრის მისაღებობისა და არსებითი მხარის ერთდროულად განხილვის თაობაზე (მუხლი 28§3).

4. 2007 წ. 25 დეკემბერსა და 2008 წ. 29 თებერვალს, მთავრობამ და მომჩივნმა წარმოადგინეს საკუთარი მოსაზრებები საჩივარის მისაღებობისა და არსებითი მხარის თაობაზე (რეგლამენტის 54-ე „ა“ მუხლი).

5. 2008 წ. 30 ივლისსა და 5 აგვისტოს, აგრეთვე 2009 წ. 5 ოქტომბერს, მომჩივნებმა საკუთარი ინიციატივით წარადგინეს დიდი მოცულობის შუამდგომლობები, რომლებშიც განმეორებული იყო მათ მიერ უკვე წარმოდგენილ მოსაზრებებში მოყვანილი არგუმენტები და დამატებული იყო ახალი და საქმესთან კავშირში არმყოფი პრეტენზიები. სასამართლომ გადაწყვიტა, არ დაერთო ზემოაღნიშნული შუამდგომლობები საქმის მასალებისათვის, რეგლამენტის 38-ე მუხლისა და სასამართლოს თავმჯდომარის მიერ 2003 წ. 1 ნოემბერს გამოქვეყნებული პრეკანონიკული დირექტივების თანახმად.

ფაქტები

1. საქმის გარემოებები

ა. მომჩივნების შესახება კოტეჯში

6. პირველი და მეორე მომჩივნები არიან ცოლი და ქმარი. ორივე დაბადებულია 1937 წელს. მათი ვაჟი, მესამე მომჩივანი და მისი მეუღლე - მეოთხე მომჩივანი, დაბადებულები არიან 1964 და 1970 წლებში. მეხუთე და მეექვსე მომჩივნები არიან პირველი და მეორე მომჩივნების ქალიშვილები და დაბადებულები არიან 1962 და 1971 წლებში.

7. მომჩივნები, მეოთხე მომჩივნის გამოკლებით, წარმოადგენენ იძულებით გადაადგილებულ პირებს აფხაზეთიდან, საქართველო. 1992-93 წლებში განვითარებული შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად ისინი, დაახლოებით 300.000 სხვა ეთნიკურ ქართველთან ერთად, გამოიქცნენ აფხაზეთიდან და მიატოვეს სახლები და საკუთრება.

8. იმ ფკანონის გამო, რომ პირველ მომჩივანს მაღალი თანამდებობა ეკავა აფხაზეთის შინაგან საქმეთა სამინისტროში, 1994 წ. იანვარში, საქართველოს შს მინისტრმა მას შესთავაზა სამინისტროს საგამოძიებო დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოსტი. მას შემდეგ, რაც პირველმა მომჩივანმა მიიღო შემოთავაზებული პოსტი, ის და მისი ოჯახი შესახლდნენ სამინისტროს კუთვნილ კოტეჯში, რომელიც მდებარეობდა ავჭალის ქუჩაზე, № 15-ში, თბილისის გარეუბანში („კოტეჯი“).

9. საქმის მასალების თანახმად, კოტეჯი სამინისტროს საკუთრებაში გადაეცა 1993 წ. 29 ოქტომბერს. № 531 ბრძანებულების საფუძველზე, რომელიც გამოსცა შს მინისტრმა ზემოთ აღნიშნულ დღეს, სამინისტროს საკუთრებაში გადმოვიდა კოტეჯი, რომელიც სახელმწიფო სპორტულ კლუბ „დინამოს“ ეკუთვნოდა და შს სამინისტროს ფინანსურ და ტექნიკური უზრუნველყოფის დეპარტამენტს დაევალა

პასუხისმგებლობა კოტეჯის გამოყენებაზე. 1993 წ. 29 ოქტომბერს გამოცემული ბრძანების თანახმად, კოტეჯის სამინისტროს ბალანსზე დაბრუნება გამართლებული იყო კადრების რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდით, რასაც თან ერთვოდა ის ფკანონიც, რომ აფხაზეთში არსებული მტრული ტენდენციების გათვალისწინებით, სამინისტროს დევნილი თანამშრომლები საჭიროებდნენ დასაქმებითა და თავშესაფრით უზრუნველყოფას.

10. პირველმა მომჩივანმა და მისმა ოჯახმა დაიწყეს კოტეჯის მიმდებარე ტერიტორიით სარგებლობა და ტერიტორიაზე დარგეს ხილი და ბოსტნეული, ასევე მოაშენეს შინაური ფრინველები და ცხოველები. მოგვიანებით, სადინაძეების ოჯახმა უსასყიდლოდ შეიფარა რვა უსახლკარო ნათესავი, რომლებიც ასევე აფხაზეთიდან იყვნენ დევნილები („სადინაძეების ოჯახის ნათესავები“). 1998 და 1999 წლებში, მესამე მომჩივანი დაქორწინდა მეოთხე მომჩივანზე და წყვილი საცხოვრებლად დარჩა აღნიშნულ კოტეჯში.

11. 1998 წელს პირველი მომჩივანი გავიდა პენსიაზე საქართველოს შს სამინისტროს სამსახურიდან.

12. 2000 წ. 20 აპრილს სამინისტრომ გასცა წერილი, რომელიც ადასტურებდა პირველი მომჩივნის მიერ კოტეჯის და მიმდებარე ტერიტორიის ფლობის მართლზომიერებას („სამინისტროს 2000 წ. 20 აპრილის წერილი“). წერილის თანახმად პირველი მომჩივანი და მისი ოჯახი კოტეჯში დასახლდნენ 1994 წელს შს მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, რომელიც ემყარებოდა 1996 წ. 28 ივნისის იძულებით გადაადგილებულ პირთა - დევნილთა შესახებ კანონს („იძულებით გადაადგილებულ პირთა კანონი“). წერილში ასევე მითითებული იყო, რომ საკუთრება იყო დროებითი ხასიათის, პერიოდი არ იყო დაკონკრეტებული და რომ მესაკუთრე ვალდებული იყო, გაფრთხილებოდა საკუთრებას. წერილის ასლი გადაეცა ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ინფორმაციისათვის.

13. როგორც საქმის მასალები ცხადყოფს, 2001 წელს, მეხუთე მომჩივანმა დატოვა კოტეჯი და საცხოვრებლად გადავიდა მეუღლესთან, უკრაინაში. 2001 წ. 31 აგვისტოს, მეექვსე მომჩივანი გახდა კოტეჯის მიმდებარე ტერიტორიის ნაწილის რეგისტრირებული მესაკუთრე.

ბ. კალაძის საქმე

14. 2003 წელს მომხდარი „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ (დამატებითი დეტალებისათვის, იხ. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია საქართველოს წინააღმდეგ“; № 9103/04, §§ 11-13, 2008 წ. 8 ივლისის გადაწყვეტილება) ახლად დანიშნულმა შს მინისტრმა გამოიძახა პენსიაზე გასული პირველი მომჩივანი და სთხოვა, ეხელმძღვანელა კალაძის საქმის გამოძიებისათვის. ეს იყო გახმაურებული სისხლის სამართლის საქმე, რომლის გახსნასაც 2001 წლიდან უშედეგოდ ცდილობდნენ სამართალდამცავები და რომელიც შეეხებოდა *კახა კალაძის* – მილანის კლუბში მოთამაშე ცნობილი ქართველი ფეხბურთელის ძმის გატაცებასა და

გაუჩინარებას. პირველმა მომჩივანმა მიიღო შეთავაზება; შს მინისტრის 2003 წ. 13 დეკემბრის ბრძანებით, იგი დააწინაურეს, მიანიჭეს პოლიციის პოლკოვნიკის წოდება და დანიშნეს დამოუკიდებელი საგამოძიებო ერთეულის ხელმძღვანელად, რომელიც იძიებდა კალაძის საქმეს და გატაცების სხვა გახმაურებულ ფაქტებს.

15. პირველი მომჩივნის თანახმად, მის დაქვემდებარებაში მყოფი საგამოძიებო ერთეულის მიერ მომდევნო თვეების მანძილზე გამოვლენილ იქნა გარემოებები კალაძის საქმესთან დაკავშირებით. სავარაუდოდ, ახლად გამოვლენილი ინფორმაცია პრობლემებს უქმნიდა ზოგიერთ მაღალჩინოსანს, რომლებიც იდგნენ ქართული ფეხბურთის სფეროში განხორციელებული კრიმინალური მაქინაციების უკან, და 2004 წ. 30 მარტს, გენერალურმა პროკურორმა, ბნ-მა ი. ო.-მ პირადად სთხოვა პირველ მომჩივანს, შეეწყვიტა საქმის გამოძიება.

16. 2004 წ. ივნისში, გენერალური პროკურორი, ბ-ნი ი. ო. დაინიშნა შს მინისტრის პოსტზე. სავარაუდოდ, ახლად დანიშნულმა მინისტრმა პირველი მომჩივანი ჩამოაშორა კალაძის საქმეს და 2004 წ. 26 ივნისს დამამცირებელი ფორმით გამოაძევა იგი კაბინეტიდან.

17. 2004 წ. 13 ოქტომბერს პირველმა მომჩივანმა უშიშროების ეროვნულ საბჭოს – საქართველოს პრეზიდენტის სათათბირო ორგანოს, გადასცა კონფიდენციალური ფაილი. სავარაუდოდ ფაილი შეიცავდა ინფორმაციას ბ-ნი ი. ო.-სა და სხვა მაღალჩინოსნების მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების შესახებ.

გ. გასახლება კოტეჯიდან

18. 2004 წ. 25 ოქტომბერს პოლიცია მივიდა სალინაძეების ოჯახში და შს მინისტრის ბ-ნი ი. ო.-ს მიერ გაცემული ზეპირი განკარგულების საფუძველზე მოსთხოვა კოტეჯის დაცლა. პირველმა მომჩივანმა პოლიციას წარუდგინა მინისტრის 2000 წ. 20 აპრილის წერილი, რომელიც ადასტურებდა მისი ფლობის მართლზომიერებას და ოფიცრებს სთხოვა მისი საცხოვრებელიდან წასვლა.

19. 2004 წ. 30 ოქტომბერს პოლიცია კვლავ მივიდა სალინაძეების ოჯახში, იგივე მოთხოვნით. თუმცა, იმის გამო, რომ პოლიციამ ვერ წარმოადგინა სასამართლოს გადაწყვეტილება, პირველმა მომჩივანმა ისინი სახლში არ შეუშვა.

20. 2004 წ. 31 ოქტომბერს, პოლიციამ განმეორებით სცადა მომჩივნების გასახლება. ამჯერად კოტეჯს ალყა შემოარტყა დაახლოებით თხუთმეტმა პოლიციელმა და სპეც-სამსახურის რამდენიმე აგენტმა, რომლებსაც შავი ნიღბები ეკეთათ სახეზე. მათ ისევ გაიმეორეს, რომ შს მინისტრისაგან მიღებული ჰქონდათ ზეპირი ბრძანება მომჩივნების გასახლების შესახებ. პირველი მომჩივანი ცხარე კამათში ჩაერთო პოლიციელებთან და მათგან მოითხოვდა სასამართლოს ორდერის ჩვენებას, რომლის საფუძველზეც მათ ექნებოდათ ბინაში შესვლის უფლება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი დაუყოვნებლივ უნდა წასულიყვნენ ტერიტორიიდან. სიტუაციის დაძაბვის შედეგად, მეორე მომჩივანმა გონება დაკარგა. მეოთხე მომჩივანს, რომელიც იმ დროს ფეხმძიმედ იყო, ნერვული შეტევა დაემართა.

იმის გამო, რომ პოლიციას არ ჰქონდა სასამართლო გადაწყვეტილება, მათ დატოვეს ტერიტორია.

21. მომჩივნების თანახმად, 2004 წ. 1 ნოემბერს, დაახლოებით 60 ნიღბიანი, შეიაღებული სპეცდანიშნულების ძალების წარმომადგენელი შეიჭრა მათ კოტეჯში. ოპერაციას ხელმძღვანელობდა მცხეთა-მთიანეთის პოლიციის რაიონული სამმართველოს უფროსი. პოლიციამ, რომელსაც არ გააჩნდა აღნიშნული მოქმედების ნებადამრთველი არანაირი კანონიერი დოკუმენტი, იძულებით გამოაძევა კოტეჯიდან მეორე მომჩივანი და სალინაძის ოჯახის ნათესავები (ინციდენტის დროს სხვა მომჩივნები, პირველი მომჩივნის ჩათვლით, არ იმყოფებოდნენ სახლში). გასახლების შემდეგ, კოტეჯში დაბანაკდა რამდენიმე პოლიციელი. პოლიციამ ასევე დაიკავა მიმდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც წარმოადგენდა მეექვსე მომჩივნის რეგისტრირებულ საკუთრებას.

დ. მოთხოვნილი უფლებრივი დაცვა

22. 2004 წ. 1 ნოემბრის ინციდენტის შემდეგ, პირველმა განცხადებელმა სამოქალაქო სარჩელი შეიტანა და წარმოადგინა საჩივარი სისხლის სამართლის დანაშაულის თაობაზე, რა დროსაც იგი ასაჩივრებდა კოტეჯის უკანონოდ ჩამორთმევას და მისი პროფესიულ საქმიანობაში ხელის შეშლას შს სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან.

23. აღნიშნულ პროცესებზე, რომლებიც ქვემოთ არის აღწერილი, პირველი მომჩივანი წარმოადგენდა საკუთარ თავს, როგორც ერთ მომჩივანს. დანარჩენ ხუთ მომჩივანს არ გაუფორმებია რაიმე დოკუმენტი, რომელიც პირველ მომჩივანს ან იურისტს აძლევდა მათი სახელით მოქმედების უფლებას. შესაბამისად, როდესაც დაიწყო პირველი მომჩივნის სარჩელის განხილვა მფლობელობის აღდგენის თაობაზე, ადგილობრივმა სასამართლომ გამოკვლევა შეზღუდა და შემოიფარგლა მხოლოდ პირველი მომჩივნის საკუთრების უფლების გამოკვლევით (იხ. §§ 26, 33-37 და 43-44).

24. პირველი მომჩივნის მიერ შეტანილი სარჩელების გარდა, მეექვსე მომჩივანმა მოიგო დავა მისი კუთვნილი მიწის ნაკვეთის დაკავების თაობაზე (იხ. §21). მისი საჩივრის შედეგად შს სამინისტრომ დატოვა მიწის ნაკვეთი 2005 წ. 14 მარტს.

1. პირველი მომჩივნის მიერ შეტანილი სარჩელი მფლობელობის აღდგენის თაობაზე

ა. პროცესი პირველ ინსტანციაში

25. 2004 წ. 22 ნოემბერს, მომჩივანმა სამოქალაქო სარჩელი შეიტანა შს სამინისტროს წინააღმდეგ და სამოქალაქო კოდექსის 155-ე, 159-ე და 160-ე მუხლების საფუძველზე ითხოვდა მფლობელობის აღდგენას კოტეჯზე. პირველი მომჩივანი ჩიოდა, რომ კოტეჯს იგი მართლზომიერად ფლობდა და რომ კოტეჯი იყო მისი და მისი ოჯახის ბინა 1994 წლიდან. პირველი მომჩივანი ასევე ჩიოდა, რომ მისი პირადი და ასევე ოჯახის ნივთები დარჩა დალუქულ კოტეჯში, მას და მის ოჯახს სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდათ და ითხოვდა სასამართლოსაგან კოტეჯში დარჩენის ნებას დავის საბოლოო გადაწყვეტამდე. იმავე დღეს, მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ არ დააკმაყოფილა თხოვნა, როგორც დაუსაბუთებელი, თუმცა ძირითადი სარჩელი დასაშვებად ცნო საქმის არსებითი განხილვისათვის. პირველმა მომჩივანმა ითხოვა დაუყოვნებლად აღსასრულებელი გადაწყვეტილების გამოტანა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 268-ე მუხლის საფუძველზე.

26. 2004 წ. 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით მთაწმინდა-კრწანისის რაიონის სასამართლომ დააკმაყოფილა პირველი მომჩივნის სარჩელი და მოპასუხე სამინისტროს მოსთხოვა კოტეჯის დაბრუნება პირველი მომჩივნისათვის. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ 2000 წ. 20 აპრილით დათარიღებული მინისტრის წერილი იყო მტკიცებულება იმ ფკანონისა, რომ პირველი მომჩივანი და მისი ოჯახი კოტეჯში დასახლდნენ როგორც იძულებით გადაადგილებული პირები აფხაზეთიდან, მინისტრის ბრძანების საფუძველზე და დაადგინა, რომ კოტეჯი იყო მის ლეგიტიმურ მფლობელობაში. სასამართლომ გაითვალისწინა, რომ 1996 წ. 28 ივნისის კანონი იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, ნაწილი 7§3, კრძალავდა იძულებით გადაადგილებულ პირთა გასახლებას საცხოვრებლიდან, შემდეგი გამონაკლისებით: ა) მათთან შეთანხმების მიღწევა; ბ) ალტერნატიული საცხოვრებლის შეთავაზება; გ) გასახლება აუცილებელია ბუნებრივი კატაკლიზმების გამო და გამოყოფილი ადექვატური კომპენსაცია; დ) იძულებით გადაადგილებული პირები თვითნებურად, სამართლებრივი ნებართვის გარეშე დაეპატრონნენ სადავო საკუთრებას. იმდენად, რამდენადაც არცერთი ზემოთხსენებული გარემოება არ ფიგურირებს პირველი მომჩივნის საქმეში, სასამართლომ დაადგინა, რომ 2004 წ. 1 ნოემბერს მომხდარი გასახლება იყო უკანონო. რაიონულმა სასამართლომ გააკრიტიკა მოპასუხე სამინისტრო, კანონიერი გადაწყვეტილების გარეშე და მხოლოდ მინისტრის ზეპირი ბრძანების საფუძველზე კოტეჯის ჩამორთმევის გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის 1 და 2 პუნქტების თანახმად, ადმინისტრაციული კანონი, მაგალითად მინისტრის ბრძანება, შეიძლება გაიცეს ზეპირი წესით მხოლოდ განსაკუთრებულ სიტუაციებში, რასაც სამი დღის ვადაში უნდა მოჰყვეს წერილობითი ასლი; ეს ასე არ მომხდარა მოცემულ შემთხვევაში. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით სასამართლომ დაასკვნა, რომ პირველ მომჩივანს უნდა დაუბრუნდეს კოტეჯი საკუთრებაში სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის საფუძველზე.

27. თუმცა, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ უარი საჩივარა მისი გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულების შესახებ ბრძანების გაცემაზე.

სასამართლო მიუთითებდა, რომ უარი დასაბუთებული იყო მოპასუხე სამინისტროს განცხადებით, რომლის თანახმად, გასახლების შემდეგ, კოტეჯი გადაეცა სპეც-სამსახურის ერთეულს და მათ გასვლას გარკვეული დრო სჭირდებოდა.

28. 2005 წ. 6 იანვარს, პირველი მომჩივნის წარმომადგენლებმა მოინახულეს კოტეჯი. კოტეჯი ცარიელი დახვდათ და ორი პოლიციელისაგან, რომლებიც დარაჯობდნენ შენობას, მათ შეიტყვეს, რომ სადინაძეების გასახლების შემდეგ, ოთახები დაილუქა და არანაირი ერთეული არ ყოფილა იქ განთავსებული. აღნიშნულთან დაკავშირებით, ადგილზე გაკეთდა ჩანაწერი.

ბ. სააპელაციო პროცესი

29. 2005 წ. 27 იანვარს მოპასუხე სამინისტრომ გაასაჩივრა 2004 წ. 30 დეკემბრის გადაწყვეტილება. სამინისტრომ აღიარა, რომ მან პირველ მომჩივანს მისცა კოტეჯით სარგებლობის უფლება და დააკონკრეტა, რომ საკუთრების უფლება მხოლოდ დროებითი ხასიათისა იყო. შესაბამისად, პირველი განცხადებლის საკუთრების უფლების შეწყვეტა და მისი ოჯახის კოტეჯიდან გამოსახლება არ შეიძლებოდა, მიჩნეული ყოფილიყო უკანონოდ. სამინისტრომ ასევე საჩივარა, რომ კოტეჯი და მისი მიმდებარე მიწის ნაკვეთი წარმოადგენდა სტრატეგიულ ობიექტს სახელმწიფოსათვის.

30. 2005 წ. 13 თებერვალს პირველმა მომჩივანმაც გაასაჩივრა 2004 წ. 30 დეკემბრის გადაწყვეტილება, რომელიც შეეხებოდა გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსრულებას. შესაბამის დოკუმენტზე დაყრდნობით (იხ. §28), იგი ჩიოდა, რომ მოპასუხე სამინისტრომ შეცდომაში შეიყვანა ქვედა ინსტანციის სასამართლო, როდესაც სასამართლოს აცნობა კოტეჯში პოლიციის ერთეულის განთავსების შესახებ. კოტეჯზე მფლობელობის დაუყოვნებლივ აღდგენის მხარდამჭერ კიდევ ერთ არგუმენტად მან დაასახელა მისი ოჯახის ზოგიერთი წევრის რთული სოციალური და საბინაო მდგომარეობა. შესაბამისად, სხვა არგუმენტებთან ერთად, იგი აცხადებდა, რომ მეხუთე მომჩივანი მოკლე ხანში ბრუნდებოდა უკრაინიდან ახლადშემქნილ შვილთან ერთად და აღნიშნული კოტეჯის გარდა, მას საქართველოში სხვა საცხოვრებელი არ გააჩნდა.

31. 2005 წ. 19 დეკემბერს თბილისის რაიონულმა სასამართლომ დანიშნა საქმის არსებითი განხილვა. სხდომის დროს მოპასუხე სამინისტრომ კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ „ბ-ნი ი.ო.-ს ზეპირი განკარგულების“ გარდა, არ არსებობდა კოტეჯის ჩამორთმევის სხვა კანონიერი საფუძვლები. სამინისტრომ ასევე საჩივარა, რომ მან არაერთხელ შესთავაზა პირველ განცხადებელს კოტეჯიდან მისი პირადი და ოჯახის კუთვნილი ნივთების გატანა, თუმცა ამ უკანასკნელმა თანამშრომლობაზე უარი საჩივარა.

32. რაიონულმა სასამართლომ ასევე გამოიკვლია ორი მოწმის – ბ-ნი დ.მ-სა და ბ-ნი ჯ.მ-ს ზეპირი და წერილობითი ჩვენებები; ეს ორი პიროვნება იყვნენ შს მინისტრის

მოადგილეები იმ პერიოდში, როდესაც პირველი მომჩივანი დასახლდა კოტეჯში. აღნიშნულმა მოწმეებმა საჩივარეს, რომ პირველმა მომჩივანმა წერილობით მიმართა შს მინისტრს 1993 წ. იანვარში და ითხოვა დასაქმება და საცხოვრებელი. მინისტრმა ხელმოწერით დააკმაყოფილა მოთხოვნა, რის შედეგადაც პირველ მომჩივანს შესთავაზეს ახალი თანამდებობა შს სამინისტროში და შეასახლეს კოტეჯში. გადაწყვეტილების მიღება დააჩქარა იმ გარემოებამ, რომ პირველი მომჩივანი, კვალიფიციური და გამოცდილი გამომძიებელი, უსახლკაროდ დარჩა აფხაზეთში განვთარებული მოვლენების შედეგად.

33. თბილისის რაიონულმა სასამართლომ იმავე დღეს გამოიტანა გადაწყვეტილება, რითაც სრულად დააკმაყოფილა მოპასუხე სამინისტროს სარჩელი. სასამართლომ აღიარა ის ფკანონი, რომ პირველი მომჩივანი კოტეჯითა და მისი მიმდებარე ტერიტორიით სარგებლობდა 1994 წ. იანვრიდან 2004 წ. 1 ნოემბრამდე. შს მინისტრის 1993 წ. 29 ოქტომბრის ბრძანებაზე (იხ. §9) დაყრდნობით, სასამართლომ დაადგინა, რომ კოტეჯი მოცემულ პერიოდში წარმოადგენდა სამინისტროს საკუთრებას. ასევე დადგინდა იქნა, რომ პირველ მომჩივანს არასოდეს არ მიუღია რეგისტრირებული საკუთრების უფლება აღნიშნულ უძრავ ქონებაზე.

34. სააპელაციო სასამართლომ განიხილა, შესაძლებელი იყო თუ არა იმის თქმა, რომ პირველი მომჩივანი კეთილსინდისიერად ფლობდა კოტეჯს. სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად მთავარი მოსაზრება ამასთან დაკავშირებით იყო შემდეგი: შესაძლებელი იყო თუ არა იმის თქმა, რომ მას კანონიერად ჰქონდა მფლობელობა მიღებული. მართლზომიერება გამორიცხული იქნებოდა, პირველ მომჩივანს რომ ეღიარებინა, რომ მფლობელობა მას უკანონოდ ჰქონდა მოპოვებული. მეორეს მხრივ, თუ მისი მფლობელობა აღმოჩნდებოდა უკანონო, რის შესახებაც პირველ მომჩივანს არ ეცოდინებოდა, მაშინ ჩაითვლებოდა, რომ იგი საკუთრებას ფლობდა კეთილსინდისიერად.

35. ზემოაღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით, რაიონულმა სასამართლომ დაადგინა: იმ ფკანონის გათვალისწინებით, რომ პირველმა მომჩივანმა ვერ წარმოადგინა სამართლებრივი დოკუმენტი, რომელიც დაადასტურებდა, რომ კოტეჯი მას გადაეცა კანონიერ საფუძველზე დაყრდნობით, მისი საკუთრებაში შესვლა არ შეიძლება ჩაითვალოს კანონიერად. მინისტრის 2000 წ. 20 აპრილის წერილი არ იქნა მიღებული აღნიშნულის დამადასტურებელ საბუთად, მასში მოცემული ინფორმაციის შეუსაბამობის გამო. ამგვარად, სააპელაციო სასამართლო მიუთითებს: წერილის თანახმად პირველმა მომჩივანმა კოტეჯი მიიღო 1994 წელს, დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კანონის საფუძველზე, თუმცა ეს კანონი ძალაში შევიდა გაცილებით გვიან, 1996 წ. 28 ივნისს. გარდა ამისა, სასამართლოს აზრით, უბრალო წერილს არ შეეძლო სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობა. რაიონულმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ პირველი მომჩივანი არ უნდა დაყრდნობოდა დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა აქტს, იმის გამო, რომ კანონი ძალაში შევიდა მისი კოტეჯში ჩასახლების შემდეგ. ნებისმიერ შემთხვევაში, აღნიშნული კანონის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რომელიც კრძალავს იძულებით გადაადგილებულ პირთა გასახლებას სასამართლო ორდერის გარეშე, არ

იყო შემხებლობაში აღნიშნულ საკითხთან, რადგანაც იგი აქტს დაემატა 2005 წ. 6 აპრილს, რაც ნიშნავს - 2004 წ. 1 ნოემბერს კოტეჯის ჩამორთმევის შემდეგ.

36. ზემოაღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, თბილისის რაიონულმა სასამართლომ დაადგინა, რომ პირველ მომჩივანს უნდა სცოდნოდა, რომ კოტეჯის მფლობელობა მის მიერ იყო უკანონო. ამის გათვალისწინებით, მოპასუხე სამინისტროს - კოტეჯის კანონიერ მესაკუთრეს - მიეცა პირველი მომჩივნისაგან - არაკეთილსინდისიერი მფლობელისაგან საკუთრების დაბრუნების უფლება, სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლისა და 172-ე მუხლის 1-ლი პუნქტის საფუძველზე.

37. სააპელაციო სასამართლოს სამი მოსამართლიდან ერთმა, რომელიც არ დაეთანხმა უმრავლესობის აზრს, წარმოადგინა ცალკე მოსაზრება. მას მიაჩნდა, რომ მოპასუხე სამინისტროს 2000 წ. 20 აპრილის წერილი ნათლად ადასტურებდა, რომ პირველ მომჩივანს კოტეჯი გადაეცა მინისტრის ბრძანების საფუძველზე. შესაბამისად, იგი არ უნდა ჩაითვალოს არაკეთილსინდისიერ მფლობელად. მოსამართლემ ასევე აღნიშნა, რომ სამინისტრომ მომჩივნები გაასახლა სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. ამგვარად, სამინისტროს კი გააჩნდა უპირატესი საკუთრების უფლება კოტეჯზე, პირველ მომჩივანს მაინც ჰქონდა მფლობელობის დაბრუნების უფლება *in fine* სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის საფუძველზე.

გ. საკასაციო პროცესი

38. 2006 წ. 27 იანვარს პირველმა მომჩივანმა გაასაჩივრა სამართლებრივი საკითხები. მან მიუთითა მოპასუხე სამინისტროს 2000 წ. 20 აპრილის წერილზე, ყოფილი შს მინისტრის მოადგილეების მიერ გაკეთებულ განცხადებებსა და საქმის მასალებში არსებულ სხვა მტკიცებულებებზე და ეჭვქვეშ დააყენა სააპელაციო სასამართლოს დასკვნა მისი მფლობელობის უკანონობის შესახებ. მან ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ კოტეჯი მას თვითნებურად არ მიუთვისებია, არამედ იგი მას შესთავაზა მოპასუხე სამინისტრომ. მისი მფლობელობის ლეგიტიმურობა ასევე გამომდინარეობდა მინისტრის 1993 წ. 29 ოქტომბრის ბრძანებიდან, რომელიც მოხსენიებული იყო სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაში. პირველი მომჩივანი აღნიშნავდა, რომ ბრძანებაში ნათლად იყო მითითებული ის, რომ როდესაც ის შეასახლეს კოტეჯში, სამინისტრო უფლებამოსილი იყო, კოტეჯი გამოეყენებინა იძულებით გადაადგილებული თანამშრომლების შესასახლებლად.

39. გარდა აღნიშნულისა, პირველი მომჩივანი დავობდა, რომ კოტეჯის მისთვის ზედმეტი ფორმლობების გარეშე გადაცემის მთავარი მიზეზი იყო 1993-1994 წლებში საქართველოში არსებული ჰუმანიტარული კრიზისი, რა დროსაც ცენტრალურ ხელისუფლებას, აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებული დაახლოებით 300,000 უსახლკაროდ დარჩენილი პირისთვის სასწრაფოდ უნდა მოეძებნა თავშესაფარი. სტატისტიკაზე დაყრდნობით, რომლის მიხედვითაც აფხაზეთის კონფლიქტის შემდგომ პერიოდში ხელისუფლებამ დაახლ. 150,000 იძულებით გადაადგილებული პირი უზრუნველყო საცხოვრებლით, პირველი

მომჩივანი აღნიშნავდა, რომ არარეალისტური იქნებოდა იმის მოლოდინი, რომ საკუთრების გადაცემის ყველა ფორმალობა უდიდესი სიზუსტით იქნებოდა დაცული ყველა შემთხვევაში. პირველი მომჩივანი მიუთითებდა მრავალ სამართლებრივ და ნორმატიულ აქტზე – სახელმწიფო მეთაურის 1992 წ. 30 დეკემბრის, 1993 წ. 2 ოქტომბრისა და 1995 წ. 29 მარტის ბრძანებულებებზე, მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 31 დეკემბრისა და პარლამენტის 1996 წ. 17 აპრილის რეზოლუციებზე, 1996 წ. 26 ივნისის „იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ“ კანონზე, 2002 წ. 5 იანვრის პრეზიდენტის ბრძანებაზე და ა.შ., რომელთა საფუძველზეც საქართველომ იკისრა იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების ვალდებულება. სახელმწიფოს ამ ვალდებულების გათვალისწინებით, მისი კოტეჯში ჩასახლება და კოტეჯის ფლობა იყო სრულიად ლეგიტიმური.

40. პირველი მომჩივანი ასაჩივრებდა იმ გარემოებას, რომ მისთვის და მისი ოჯახისათვის საცხოვრებელი სახლის ჩამორთმევამდე სამინისტროს სასამართლოსგან უნდა აეღო ნებართვა. თუმცა, კოტეჯიდან გასახლება არამხოლოდ სასამართლო ნებართვის გარეშე განხორციელდა, არამედ რაიმე წერილობითი ადმინისტრაციული კანონის გარეშეც. ამასთან დაკავშირებით, პირველი მომჩივანი მიუთითებდა, რომ სააპელაციო სასამართლომ განზრახ და თვითნებურად უგულვებელყო იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონის მე-7 მუხლის მე-3 პუნქტი, რომელიც ძალაში იყო მათი კოტეჯიდან გასახლების დროს და რომელიც კრძალავდა უკვე შესახლებული იძულებით გადაადგილებული პირების გასახლებას სათანადო პროცესუალური ნორმების დაცვისა და კომპენსაციის გაცემის გარეშე. საკუთარი არგუმენტის დასასაბუთებლად, პირველი მომჩივანი მიუთითებდა უზენაესი სასამართლოს 2001 წ. 28 ნოემბრის გადაწყვეტილებაზე, რომელიც გამოტანილ იქნა მსგავს საქმეზე – *ხინთიბიძე და სხვები* (იხ. §69). და ბოლოს, პირველი მომჩივანი ასახელებდა მის მძიმე სოციალურ და ეკონომიკურ პირობებს და ითხოვდა სრულ გათავისუფლებას სასამართლო ბაჟის გადახდისგან ან გადახდის გადავადებას საქმის განხილვის დასრულებამდე.

41. 2006 წ. 24 თებერვალს, უზენაესმა სასამართლომ გააკრიტიკა პირველი მომჩივანი სასამართლო ბაჟის გადაუხდელობის გამო და უბრძანა თანხის გადახდა 15 დღის ვადაში; წინააღმდეგ შემთხვევაში მას საჩივარი განხილვის გარეშე დაუბრუნდებოდა. 2006 წ. 17 მარტს, პირველმა მომჩივანმა გადაიხადა 1.200 ლარი (510 ევრო), რაც პასუხობდა კანონით დადგენილ მოთხოვნას და წარმოადგენდა კოტეჯის ღირებულების 4%-ს. მან ასევე წარმოადგინა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, აღნიშნული თანხა მას ასესხა კერძო პირმა 2 წ. ვადით.

42. 2006 წ. 27 სექტემბერს უზენაესმა სასამართლომ არ დააკმაყოფილა პირველი მომჩივნის საჩივარი სამართლებრივ საკითხებზე და ძალაში დატოვა სააპელაციო სასამართლოს 2005 წ. 19 დეკემბრის გადაწყვეტილება.

43. უზენაესი სასამართლო დაეთანხმა სააპელაციო სასამართლოს დასკვნებს და განმეორებით მიუთითა, რომ პირველ მომჩივანს შეეძლო მფლობელობის აღდგენა კოტეჯზე მესაკუთრისაგან - მოპასუხე სამინისტროსაგან, სამოქალაქო კოდექსის 160-ე და 162-ე მუხლების საფუძველზე, მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მის მიერ კოტეჯის

თავდაპირველი ფლობა იყო ლეგიტიმური. ლეგიტიმურობა ნიშნავდა იმას, რომ მფლობელობის განხორციელება უნდა მომხდარიყო კანონიერ საფუძველზე. თუმცა, იმის გამო, რომ პირველმა მომჩივანმა ვერ წარმოადგინა შესაბამისი ორგანოს სამართლებრივი გადაწყვეტილება, რომელიც დაადასტურებდა 1994 წელს მის მიერ კოტეჯის დაკავებას, მის მიერ კოტეჯის შემდგომი ფლობა არ შეიძლება ჩაითვალოს კეთილსინდისიერ ქმედებად. რაც შეეხება მოპასუხე სამინისტროს 2000 წ. 20 აპრილის წერილს, უზენაესმა სასამართლომ იგი არ მიიჩნია იურიდიული ძალის მქონე დოკუმენტად და განმარტა, რომ საქართველოს პრეზიდენტის 1997 წ. 8 სექტემბრის № 487 ბრძანებულების თანახმად, მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს გააჩნდა კერძო პირებთან ასეთი ტიპის გარიგებების დადების კომპეტენცია. უზენაესმა სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გააჩნდა იძულებით გადაადგილებულ პირთა განსახლების კომპეტენცია იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე. იმის გათვალისწინებით, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს არ შეუთავაზებია კოტეჯი პირველი მომჩივნისათვის, უზენაესმა სასამართლომ მიიჩნია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონით გათვალისწინებული ბინით დაკმაყოფილების გარანტია არ ვრცელდებოდა მოცემულ სიტუაციაზე. აღნიშნული ფაქტების გათვალისწინებით, უზენაესმა სასამართლომ დაასკვნა, რომ სამინისტროს, როგორც კოტეჯის კანონიერ მფლობელს, უფლება ჰქონდა ჩამოერთმია პირველი მომჩივნისათვის მისი საკუთრება სამოქალაქო კოდექსის 160-ე და 172-ე მუხლების საფუძველზე.

44. უზენაესი სასამართლოს ერთ-ერთმა მოსამართლემ წარმოადგინა განსხვავებული აზრი. მოსამართლემ აღნიშნა, რომ საქმეში არსებული ფაქტები ადასტურებდა, რომ პირველი მომჩივანი კოტეჯს მინიმუმ კეთილსინდისიერად ფლობდა. თუ დავუშვებთ, რომ იგი არ იყო კოტეჯის ლეგიტიმური მფლობელი, მოპასუხე სამინისტროს არ ჰქონდა კოტეჯის ჩამორთმევის უფლება სათანადო პროცესის გარეშე და ძალის გამოყენებით, სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის მოთხოვნების დარღვევით. მოსამართლე მივიდა დასკვნამდე, რომ პირველ მომჩივანს ჰქონდა კოტეჯის მფლობელობაში დაბრუნების მოთხოვნის უფლება სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის *in fine* საფუძველზე.

2. პირველი მომჩივნის მიერ შეტანილი სისხლის სამართლის სარჩელები

45. პირველმა მომჩივანმა სისხლის სამართლის სარჩელი შეიტანა ზემოთ აღწერილი სამოქალაქო სარჩელის პარალელურად.

46. 2004 წ. 22 ნოემბერს, მან გენერალურ პროკურატურას სთხოვა, აღედრა სისხლის სამართლის საქმე 2004 წ. 1 ნოემბრის თვითნებური და ძალადობრივი გასახლებისა და შს სამინისტროს მაღალჩინოსნების მხრიდან მის მიერ წარმოებული კალაძის საქმის გამოძიებისათვის ხელის შეშლის ფაქტებზე.

47. 2004 წ. 23 დეკემბერს, გენერალურმა პროკურატურამ წერილობით უპასუხა მას და აცნობა, რომ სისხლის სამართლის საქმე ვერ დაიწყებოდა „შესაბამისი მასალების არარსებობის გამო“.

48. 2005 წ. 8 იანვარს, პირველმა მომჩივანმა საჩივარი შეიტანა სასამართლოში გენერალური პროკურატურის 2004 წ. 23 დეკემბრის პასუხის წინააღმდეგ.

49. 2005 წ. 28 იანვრით დათარიღებულ წერილში, შს სამინისტრომ, სახალხო დამცველის აპარატის კითხვის პასუხად, წარმოადგინა 2004 წ. 1 ნოემბრის ინციდენტის მისეული ვერსია. წერილში აღიარებული იყო ის ფაქტობრივი, რომ კოტეჯი პირველ მომჩივანს გადაეცა 1994 წელს, იმჟამინდელი შს მინისტრის გადაწყვეტილებით, და წერილში ასევე აღნიშნული იყო, რომ ფლობა „ბოლოხანს გახდა უკანონო“. შედეგად, სამინისტრომ გადაწყვიტა საკუთრების დაბრუნება, თუმცა პირველმა მომჩივანმა არ ისურვა თანამშრომლობა. საბოლოოდ, რამოდენიმე წარუმატებელი მცდელობის შემდეგ, სამინისტრომ, პოლიციის დახმარებით, პირველი მომჩივნის არყოფნის დროს, დაიყოლია მეორე მომჩივანი და სალინაძის ოჯახის ნათესავები კოტეჯიდან გასვლაზე. წერილში ხაზგასმით იყო აღნიშნული, რომ გასახლება არ მომხდარა იძულებით, არამედ პირიქით – იყო ნებაცემლობითი და მშვიდობიანი, და რომ მეორე მომჩივანს მიეცა საკუთარი ნივთების გატანის საშუალება გასახლების დროს. რაც შეეხება კოტეჯში არსებულ სხვა მოძრავ ქონებას, მათ შორის შინაურ ფრინველებსა და ცხოველებს, სამინისტროს წერილში აღნიშნული იყო, რომ მომჩივნებს არაერთხელ შესთავაზეს მათი გატანა და მათ ამის გაკეთება კვლავ შეეძლოთ. წერილში მითითებული იყო, რომ 2004 წ. 1 ნოემბრის გასახლების შემდეგ, კოტეჯი დაილუქა გამარცვის თავიდან ასაცილებლად. ასევე აღნიშნული იყო, რომ კოტეჯის რეალური ღირებულება იყო 45.541 ლარი (19,630 ევრო).

50. თავის 2005 წ. 28 თებერვლის გადაწყვეტილებაში, მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ უარყო პირველი მომჩივნის საჩივარი გენერალური პროკურატურის 2004 წ. 23 დეკემბრის პასუხის წინააღმდეგ. სასამართლომ საჩივარს, რომ პროკურატურიდან მიღებული არაფორმალური წერილი ვერ გახდებოდა სასამართლო განხილვის საგანი და პირველ მომჩივანს ურჩია, წერილი ზემდგომ პროკურორთან გაესაჩივრებინა.

51. 2005 წ. 9 მარტს, პირველმა მომჩივანმა შუალედური სარჩელი შეიტანა უზენაეს სასამართლოში, რომლითაც იგი ასაჩივრებდა 2005 წ. 28 თებერვლის გადაწყვეტილებას და ამავდროულად, იერარქიული საჩივარი შეიტანა გენერალურ პროკურატურაში.

52. 2005 წ. 7 აპრილს უზენაესმა სასამართლომ უარყო პირველი მომჩივნის 2005 წ. 9 მარტის შუალედური სარჩელი იგივე მიზეზით, რაც დაასახელა მთაწმინდა-კრწანისის რაიონულმა სასამართლომ 2005 წ. 28 თებერვალს. რაც შეეხება იერარქიულ სარჩელს, გენერალურმა პროკურატურამ პასუხი წარმოადგინა 2005 წ. 21 აპრილს და შემდეგნაირად გაიმეორა 2004 წ. 23 დეკემბრის წერილი: „*თქვენი მოთხოვნა სისხლის სამართლის საქმის გახსნის თაობაზე . . . არ შეიძლება დაკმაყოფილდეს შესაბამისი მასალების არარსებობის გამო*“.

53. 2006 წ. 18 აპრილს, სახალხო დამცველმა წარმოადგინა რეკომენდაცია, რომლის მიხედვითაც გენერალურ პროკურატურას უნდა გაეხსნა სისხლის სამართლის საქმე შს სამინისტროს მაღალჩინოსნების მიერ უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით. სახალხო დამცველმა მიუთითა: იმისათვის, რომ ყოფილიყო პირველი მომჩივნისათვის ქონების ჩამორთმევის კანონიერი საფუძველი, სამინისტროს ჯერ ბოლომდე უნდა მიეყვანა სამოქალაქო პროცესი, რასაც მოითხოვს შესაბამისი ადგილობრივი კანონმდებლობა.

ე. სისხლის სამართლის საქმე პირველი მომჩივნის წინააღმდეგ

54. 2006 წ. 20 თებერვალს პოლიციამ ჩაატარა კოტეჯის ჩხრეკა – გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედება – პირველი მომჩივნისა და მისი ადვოკატის დაუსწრებლად. მოწმეების სტატუსით, ჩხრეკას ესწრებოდნენ ადგილობრივი მუნიციპალიტეტის წევრები. ჩხრეკის დასრულების შემდეგ პოლიციამ შეადგინა ოქმი ცეცხლსასროლი იარაღის და სხვადასხვა სისხლის სამართლის საქმეებთან, მათ შორის კალაძის საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტაციის აღმოჩენის თაობაზე. იმავე დღეს გაიხსნა სისხლის სამართლის საქმე პირველი მომჩივნის წინააღმდეგ იარაღისა და კონფიდენციალური ოფიციალური დოკუმენტაციის უკანონო შენახვის ფაქტებზე. თუმცა იგი არ დაუპატიმრებიათ.

55. 2006 წ. 21 თებერვალს, მცხეთის რაიონულმა სასამართლომ შეამოწმა გადაუდებელი ჩხრეკის კანონიერება და გადაწყვიტა მისი შედეგების დაკანონება *ex post facto*.

56. 2006 წ. 20 მარტს, გენერალურმა პროკურატურამ, კალაძის საქმის გამოძიების მსვლელობისას მოპოვებული ინფორმაციის გათვალისწინებით, აღძრა სისხლის სამართლის საქმე უფლებამოსილების გადამეტების ბრალდებით, რომელიც სავარაუდოდ, ჩაიდინა პირველი მომჩივნის საგამოძიებო ერთეულმა 2004 წელს (იხ. §§ 14 და 15). კერძოდ, ერთეულის რამოდენიმე წევრი, მათ შორის პირველი მომჩივიანიც, ეჭვმიტანილები იყვნენ აღნიშნული საქმის გამოძიების განზრახ არასწორი მიმართულებით წაყვანაში, მოწმის – ბ-ნი მ-საგან მუქარის ქვეშ ყალბი ჩვენებების გამოძალვისა და მტკიცებულებების გაყალბების მეშვეობით.

57. 2006 წ. 30 მაისს, ზემოხსენებული ორი სისხლის სამართლის საქმე გაერთიანდა და 2006 წ. 2 ივნისს, პირველ მომჩივანს ბრალი წაუყენეს იარაღის უკანონო ფლობის, ოფიციალური დოკუმენტების მითვისების, ადამიანისადმი ცუდი მოპყრობის, მტკიცებულებების გაყალბებისა და საჯარო სამსახურში ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სხვა ფაქტების გამო. ბრალი ემყარებოდა 2006 წ. 20 თებერვლის ჩხრეკის დაკანონებულ შედეგებს და მოწმის – ბ-ნი მ-ს მამხილებელ განცხადებებს, ასევე სხვა დოკუმენტებსა და ინფორმაციას, მათ შორის, სხვადასხვა მოწმეების ჩვენებებს, რომლებიც მათ ჩამოართვა გენერალურმა პროკურატურამ კალაძის საქმის გამოძიების პროცესში, რომელსაც თავად გენერალური პროკურატურა აწარმოებდა (იხ. წინა პუნქტი).

58. 2006 წ. 4 ივნისს პირველი მომჩივანი დააპატიმრეს და მომდევნო დღეს, პროკურორმა თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა შუამდგომლობა სასამართლო პროცესამდე მისი პატიმრობაში დატოვების შესახებ. შუამდგომლობაში დაყენებული მოთხოვნის მიზეზებად სახელდებოდა პირველი მომჩივნის გაქცევის რისკი, ბრალის სიმძიმიდან გამომდინარე, მის მიერ გამოძიებისათვის ხელის შეშლა, რადგან მას, როგორც ყოფილ ძალოვან მაღალჩინოსანს, შეეძლო ზეგავლენის მოხდენა პროცესის მხარეებზე.

59. 2006 წ. 6 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ ზეპირი მოსმენით განიხილა პროკურორის შუამდგომლობა. სხდომაზე პირველ მომჩივანს წარმოადგენდა ორი ადვოკატი. სასამართლომ პირველ მომჩივანს უარი უთხრა გირაოზე და ბრძანა მისი დაკავება ორი თვის ვადით. სისხლის სამართლის საქმის მასალების გაცნობისა და მხარეთა ზეპირი არგუმენტების მოსმენის შემდეგ, სასამართლომ დაადასტურა გონივრული ეჭვის არსებობა ჩადენილი დანაშაულებების ალბათობასთან დაკავშირებით. წინასწარი პატიმრობის შეფარდება ასევე დასაბუთებული იქნა სსსკ-ის 159-ე მუხლის მე-3 პუნქტით, რადგან დასაშვებად იქნა მიჩნეული ის ვარაუდი, რომ ბრალდებულს შეეძლო მიმალვა, მოსალოდნელი სასჯელის სიმკაცრიდან გამომდინარე. და ბოლოს, საკითხის დეტალური დასაბუთების გარეშე, სასამართლომ გაიზიარა პროკურორის შიში, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, პირველი მომჩივანი არასასურველ ზეგავლენას მოახდენდა პროცესის მხარეებზე.

60. 2006 წ. 7 ივნისს, პირველმა მომჩივანმა გაასაჩივრა 2006 წ. 6 ივნისის დაკავების ორდერი და სხვა არგუმენტებთან ერთად, საჩივარა, რომ დაკავება ემყარებოდა მხოლოდ ბრალის სიმძიმეს და რომ ქვედა ინსტანციის სასამართლომ უგულვებელყო ისეთი ელემენტები, როგორებიცაა მისი ასაკი, ჯანმრთელობის მდგომარეობა, მისი ოჯახის მძიმე სოციალური მდგომარეობა, მისი რეპუტაცია და სოციალური სტატუსი. პირველმა მომჩივანმა ეჭვქვეშ დააყენა მამხილებელი მტკიცებულების სარწმუნოობა და საჩივარა, რომ არ არსებობდა გონივრული ეჭვი მის მიერ აღნიშნული დანაშაულებების ჩადენის თაობაზე.

61. 2006 წ. 14 ივნისს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენის გარეშე უარყო პირველი მომჩივნის სარჩელი. სასამართლომ არ მოითხოვა პროკურორის წერილობითი კომენტარი და მისი გადაწყვეტილება ემყარებოდა მხოლოდ პირველი მომჩივნის არგუმენტების გამოკვლევას საქმის მასალების ფონზე. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ნაადრევი იყო ბრალის დასაბუთებულობის შეფასება, თუმცა, არსებული მტკიცებულებების განხილვის შემდეგ, სააპელაციო სასამართლომ დაადასტურა გონივრული ეჭვის არსებობა პირველი მომჩივნის წინააღმდეგ. სასამართლომ ძალაში დატოვა დაკავების ორდერი, რაც შემდეგნაირად დაასაბუთა:

„წინასწარი აღკვეთის ზომის შერჩევას, მხედველობაში უნდა იქნას მიღებული ბრალის მახასიათებლები (უფლებამოსილების გადამეტების განმეორებითი შემთხვევები საჯარო სამსახურში ძალის ან მუქარის გამოყენებით, ქმედებები, რომლებიც განსაკუთრებით სახიფათოა საზოგადოებრივი

უსაფრთხოებისათვის) და ასევე მისი სიმძიმე (ბრალი ითვალისწინებს გრძელვადიან პატიმრობას). უფრო მეტიც, გამოძიებამ უნდა დაადგინოს ამოღებული ცეცხლსასროლი იარაღის წარმოშობა, იარაღის სხვა დანაშაულის ჩასადენად გამოყენების შესაძლებლობა... ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროკურორის შიში, რომ ბრალდებული შეიძლება მიიმალოს ან/და არასასურველი ზეგავლენა მოახდინოს პროცესის მხარეებზე, გამართლებულია. მიუხედავად იმისა, რომ ბრალდებული 65 წელს გადაცილებულია, ... უფრო მსუბუქი აღკვეთის ზომა ვერ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის 1-ლ პუნქტში მოცემულ მიზნებს“.

სააპელაციო სასამართლომ ასევე საჩივარა, რომ პირველმა მომჩივანმა ვერ შეძლო უახლესი სამედიცინო დოკუმენტაციის წარმოდგენა ჯანმრთელობის გაუარესებული მდგომარეობის დასადასტურებლად. მთლიანობაში, სააპელაციო სასამართლომ უპასუხა პირველი მომჩივნის მიერ წამოყენებულ ყველა ძირითად არგუმენტს.

62. 2006 წ. 29 ივნისს გამოძიება შეწყდა და პროკურორმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაუგზავნა საბრალდებო დასკვნა, პირველი მომჩივნის დაკავებასთან კავშირში მყოფი ყველა დოკუმენტი და საქმის სხვა მასალები. იმავე დღეს, საქმეზე დანიშნულმა მოსამართლემ ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა პირველი მომჩივნის გრძელვადიანი დაკავების საკითხი. მან გამოაქვეყნა სტანდარტული გადაწყვეტილება ერთგვერდიანი ნიმუშის მიხედვით, რომელსაც წინასწარ ჰქონდა დაბეჭდილი სამოტივაციო ნაწილი. ცარიელ ადგილებში მოსამართლემ ჩაწერა ბრალდებულის სახელი, დანაშაულის განმარტება და წინასწარი აღკვეთის ზომა. წინასწარ დაბეჭდილი სამოტივაციო ნაწილი შემდეგი შინაარსისა იყო:

„წინასწარი აღკვეთის ზომის შერჩევასა გათვალისწინებულ იქნა როგორც ფორმალური (პროცესუალური), ისე ფაქტობრივი საფუძვლები (საკმარისი მტკიცებულებები აღკვეთის ზომის დასაკისრებლად). ბრალდებულს ბრალი ედება სერიოზული დანაშაულის ჩადენაში და რომელიმე სხვა აღკვეთის ზომის დაკისრება ვერ უზრუნველყოფს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის 1 პუნქტში მოცემულ მიზნებს.

სისხლის სამართლის საქმის მასალების გამოკვლევის შედეგად, მიმაჩნია, რომ აღკვეთის ზომის პირველადი შეფარდების დროს გათვალისწინებული არგუმენტების მხედველობაში მიღებით, პროცესის ამ ეტაპზე აღნიშნული ზომის გაუქმების ან შეცვლის არანაირი საფუძველი არ არსებობს.“

63. 2007 წ. 22 თებერვალს, პირველი მომჩივანი პირველი ინსტანციის სასამართლომ დამნაშავედ სცნო მისთვის წაყენებულ ბრალში და 7 წლით პატიმრობა მიუსაჯა. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მსჯავრი ძალაში დატოვა ბოლო ინსტანციამ – უზენაესმა სასამართლომ 2007 წ. 19 დეკემბერს და პირველი მომჩივანი ამჟამად საპატიმროში იხდის სასჯელს.

II. შესაბამისი ეროვნული კანონმდებლობა

ა. სამოქალაქო კოდექსი მოცემულ მომენტში არსებული რედაქციით:

64. კოდექსის შესაბამისი დებულებები საკუთრების და მფლობელობის შესახებ:

მუხლი 115 – უფლების ბოროტად გამოყენების დაუშვებლობა

„სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მართოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას“.

მუხლი 155, 1 და 3 პუნქტები – ცნება, სახეები

„1. მფლობელობა წარმოიშობა ნივთზე ფაქტობრივი ბატონობის ნებითი მოპოვებით.

3. თუ პირი ნივთს ფლობს იმ სამართლებრივი ურთიერთობის საფუძველზე, რომელიც განსაზღვრული ვადით ანიჭებს მას ნივთის ფლობის უფლებას ან ავალდებულებს მას ფლობდეს ნივთს, მაშინ ეს პირი ითვლება პირდაპირ მფლობელად, ხოლო უფლების მიმნიჭებელი ან ვალდებულების დამკისრებელი მიიჩნევა არაპირდაპირ მფლობელად.“.

მუხლი 159 – კეთილსინდისიერი მფლობელი

„კეთილსინდისიერია მფლობელი, რომელიც ნივთს მართლზომიერად ფლობს, ან რომელიც უფლებამოსილ პირად შეიძლება იქნეს მიჩნეული საქმიან ურთიერთობებში საჭირო გულმოდგინე შემოწმების საფუძველზე“.

მუხლი 160 – კეთილსინდისიერი მფლობელის მიერ უკანონო მფლობელობიდან ნივთის უკან დაბრუნების მოთხოვნა

„თუ კეთილსინდისიერ მფლობელს ჩამოერთმევა მფლობელობა, მას სამი წ. განმავლობაში შეუძლია ახალ მფლობელს ნივთის უკან დაბრუნება მოსთხოვოს. ეს წესი არ გამოიყენება მაშინ, როცა ახალ მფლობელს აქვს მფლობელობის უკეთესი უფლება. მფლობელობის უკან დაბრუნების მოთხოვნა შეიძლება გამოყენებულ იქნეს უკეთესი უფლების მქონე პირის მიმართაც, თუკი მან ნივთი მოიპოვა ძალადობის ან მოტყუების გზით“.

სამოქალაქო კოდექსის 162, 163 და 164 მუხლები ანსხვავებენ მფლობელობის სხვადასხვა ტიპებს, და ანიჭებენ მათ დაცვის დაბალ ხარისხს: I. მართლზომიერი მფლობელობა (ცნება, რომელიც 159-ე მუხლის თანახმად უკვე შეიცავს კეთილსინდისიერების ელემენტს); II. არაუფლებამოსილი კეთილსინდისიერი მფლობელობა და III. არაკეთილსინდისიერი მფლობელობა.

მუხლი 168 – ნივთის მფლობელობის შეწყვეტა მესაკუთრის პრეტენზიის გამო

„ნივთის მფლობელობა წყდება, თუ მესაკუთრე მფლობელს წაუყენებს დასაბუთებულ პრეტენზიას.“

მუხლი 170, პუნქტი 2 – ცნება. საკუთრების უფლების შინაარსი

„2. უფლების ბოროტად გამოყენებად ჩაითვლება საკუთრებით ისეთი სარგებლობა, რომლითაც მხოლოდ სხვებს ადგებათ ზიანი ისე, რომ არ არის გამოკვეთილი მესაკუთრის ინტერესის უპირატესობა და მისი მოქმედების აუცილებლობა გაუმართლებელია.“

მუხლი 172, პუნქტი 1 და 2

„1. მესაკუთრეს შეუძლია მფლობელს მოსთხოვოს ნივთის უკან დაბრუნება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა მფლობელს ჰქონდა ამ ნივთის ფლობის უფლება

2. თუ საკუთრების ხელყოფა ან სხვაგვარი ხელშეშლა ხდება ნივთის ამოღების ან მისი ჩამორთმევის გარეშე, მაშინ მესაკუთრეს შეუძლია ხელის შემშლელს მოსთხოვოს ამ მოქმედების აღკვეთა. თუ ამგვარი ხელშეშლა კვლავ გაგრძელდება, მესაკუთრეს შეუძლია მოითხოვოს მოქმედების აღკვეთა სასამართლოში სარჩელის შეტანის გზით.“

992-1008 მუხლებში მოცემულია მართლსაწინააღმდეგო ქმედებების დროს პასუხისმგებლობის შესახებ წესები: მუხლი 992 – ზოგადი დებულებანი – თანახმად სამოქალაქო მართლსაწინააღმდეგო ქმედებების ჩამდენი ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ზიანი, ხოლო 1005 მუხლი აკონკრეტებს, რომ სახელმწიფო ორგანოები სოლიდარულად აგებენ პასუხს კერძო პირისათვის მათი თანამშრომლის მიერ განზრახი ან გაუფრთხილებელი ქმედებით მიზიარებული ზიანის გამო, რაც ერთვის უფლების ბოროტად გამოყენებას.

ბ. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი 2005 წ. 24 მარტისათვის არსებული რედაქციით:

65. 51 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების თანახმად, ადმინისტრაციული კანონის გამოქვეყნება ზეპირი წესით დასაშვებია მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როდესაც დაგვიანებამ შეიძლება დააზიანოს ქვეყნის, საზოგადოების ან პირის ლეგიტიმური ინტერესები. თუ ზეპირი ადმინისტრაციული კანონით შეიზღუდა პირის უფლებები ან ლეგიტიმური ინტერესები, იგი ხელახლა უნდა გამოიცეს წერილობით სამი დღის ვადაში.

გ. სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი მოცემულ მომენტში არსებული რედაქციით:

66. წინასწარი პატიმრობის შესახებ კოდექსის დებულებები თავმოყრილია 35-36 პუნქტებში და სასამართლო გადაწყვეტილების 29-41 პუნქტებში, საქმეზე „გიორგი ნიკოლაიშვილი საქართველოს წინააღმდეგ“ (ნო. 37048/04, ECHR 2009 ... (ეხტრაცტს))

დ. დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ კანონი, 1996 წ. 28 ივნისი

67. 1996 წ. 28 ივნისს მისი მიღების დღიდან დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტი და მე-8 მუხლი ადგენს, რომ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრო ცენტრალური ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ერთად უზრუნველყოფს დევნილის უფლებების განხორციელებას. 9 მუხლის თანახმად, დევნილის უფლებებს იცავს სახელმწიფო.

2001 წ. 18 დეკემბერს შემდეგი ცვლილებები იქნა შეტანილი 7 მუხლში:

მუხლი 7 § 2 და 3

„2. სახელმწიფო უზრუნველყოფს დევნილს დროებითი საცხოვრებელი ფართით.

3. საბინაო საკითხებთან დაკავშირებული დავები წყდება სასამართლო წესით, ამასთან, საქართველოს მთელს ტერიტორიაზე საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე დევნილთა კომპაქტური განსახლების ობიექტებიდან არ ხდება დევნილების გამოსახლება, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა:

ა. დევნილთან იდება შეთანხმება;

ბ. გამოიყოფა შესაბამისი საცხოვრებელი ფართობი, რომლითაც არ გაუარესდება დევნილის საყოფაცხოვრებო პირობები;

გ. ხდება სტიქიური ან სხვა მოვლენები, რაც ითვალისწინებს განსაზღვრულ კომპენსაციებს და რეგულირდება საერთო წესით;

დ. დევნილს ფართობი აქვს დაკავებული თვითნებურად, კანონის დარღვევით.“

მე-7 მუხლის ზემოთ მოცემული ვერსია ძალაში დარჩა 2005 წ. 6 აპრილამდე. აღნიშნულ დღეს დევნილთა კანონის 7 მუხლიდან ამოღებული იქნა ზემოთ აღნიშნული მუხლები და მოხდა მათი გაერთიანება - ტექსტური კორექტივების შეტანის შემდეგ - 5 მუხლის 4 პუნქტთან.

ე. „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ 1999 წ. 16 აპრილის კანონი (სააღსრულებო კანონი) მოცემულ მომენტში არსებული რედაქციით:

68. სააღსრულებო წარმოების შესახებ კანონის 4, 20 და 90 მუხლების თანახმად, პირის სახლიდან გამოსახლება ესაძლებელი იყო სასამართლოს მიერ გაცემული საბოლოო და სავალდებულო გადაწყვეტილების და აღსრულების შესახებ ბრძანების საფუძველზე, და წარმოადგენდა სააღსრულებო უწყების - იუსტიციის სამინისტროს შემადგენელი ერთეულის პრეროგატივას.

ვ. უზენაესი სასამართლოს 2001 წ. 28 ნოემბრის გადაწყვეტილება საქმეზე „ხინთიბიძე და სხვები“:

69. როგორც საქმეში არსებული გარემოებებიდან გამომდინარე, რამოდენიმე უსახლკარო დევნილმა აფხაზეთიდან 1993 წელს დაიკავა ცარიელი შენობები თბილისში. იმ დროისათვის შენობები წარმოადგენდა სახელმწიფო საკუთრებას, კერძოდ სახელმწიფო გამომცემლობის საკუთრებას. დევნილები შესახლდნენ შენობაში გამომცემლობის ხელმძღვანელობის ნებართვით, თუმცა ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ან სხვა ადგილობრივი ან ცენტრალური სახელისუფლებო ორგანოს ფორმალური უფლებამოსილების თუ ზედამხედველობის გარეშე. შედეგად, გამომცემლობის რამოდენიმე თანამშრომელმა პრეტენზია გამოთქვა შენობის საკუთრებასთან დაკავშირებით და ხელმძღვანელობამ 2000 წელს სარჩელი შეიტანა სასამართლოში და მოითხოვა დევნილთა გამოსახლება.

უზენაესმა სასამართლომ დავა საბოლოოდ გადაწყვიტა დევნილთა სასარგებლოდ და წარმოადგინა შემდეგი დასაბუთება:

„სახელმწიფომ ითავა დევნილთა განთავსება. შესაბამისად, მინისტრთა კაბინეტის 1994 წ. 31 დეკემბრის გადაწყვეტილებით ... და ასევე პრეზიდენტის 2001 წ. 25 დეკემბრის ბრძანებულებით ადგილობრივ და ცენტრალურ მმართველობის ორგანოებს დაევალათ დევნილთა დაცვა და მათი შესახლება ცარიელ შენობებში ... აფხაზეთის კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე ...”

საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, რომ მოცემულ საქმეში დევნილებს თვითნებურად არ დაუკავებიათ სადავო შენობა. ... შენობა იმ დროისათვის ცარიელი იყო, და ხელმძღვანელობას 2000 წლამდე სადავოდ არ გაუხდია დევნილთა უფლება შენობის ფლობის თაობაზე.

პირობა, რომლის მოგვარებამდეც სახელმწიფომ იკისრა დევნილთა ბინით დაკმაყოფილების ვალდებულება - კონფლიქტის მოგვარება - ჯერ არ დაკმაყოფილებულა. ობიექტურად შეუძლებელია დევნილთათვის მათ საკუთარ სახლებში დავრუნება (აფხაზეთში).

საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სადავო შენობები ... იყო და კვლავაც არის სახელმწიფო საკუთრება. შესაბამისად, სახელმწიფო ვერ მოსოთხოვს დევნილებს მათ დაცლას ალტერნატიული საცხოვრებლის შეთავაზების გარეშე.

სახელმწიფოს აღნიშნული ვალდებულებიდან გამომდინარე, დევნილების მიერ შენობის ფლობა არის მართლზომიერი სამოქალაქო კოდექსის 155 მუხლის 3 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობით. შესაბამისად, მათი გასახლება, რაც უტოლდება ფლობის უფლების შეწყვეტას, იკრძალება სამოქალაქო კოდექსის 162 მუხლის 1 პუნქტით.

ზ. გაერო-ს სახელმძღვანელო პრინციპები ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილების შესახებ, 1998 წ. 11 თებერვალი, E/KN.4/1998/53/Aდდ.2

70. პრინციპი 18, 21 და 28:

პრინციპი 18 § 1

„1. ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ ყველა პირს აქვს უფლება ცხოვრების ადექვატურ დონეზე“.

პრინციპი 21 §§ 1 და 2

„1. არავის არ უნდა ჩამოერთვას თვითნებურად საკუთრება და მფლობელობა.
2. იძულებით გადაადგილებული პირების საკუთრება და მფლობელობა ნებისმიერ შემთხვევაში უნდა იყოს დაცული . . .“

პრინციპი 28 § 1

„1. კომპეტენტური უწყებები ვალდებული და პასუხისმგებელი არიან შექმნან პირობები და გამოყონ საშუალებები, რომლებიც ქვეყნის შიგნით იძულებით გადაადგილებულ პირებს დაეხმარება საკუთარ ბინებში ან საცხოვრისებში ნებაყოფლობით, უსაფრთხოდ და ღირსეულად დაბრუნებაში, ან ქვეყნის სხვა ნაწილში ნებაყოფლობით დასახლებაში.“

სამართალი

I. საქმის ფარგლები

71. სასამართლო მიუთითებს, რომ მომჩივნების ნებაყოფლობითი და მოცულობითი განცხადებები, რომლებიც Dშემოტანილი იქნა განცხადების მოპასუხე მთავრობისათვის გაცნობის და მხარეთა შორის საქმის მისაღებობის და ფაქტობრივი გარემოებების თაობაზე მოსაზრებების გაცვლის შემდეგ, არ იქნა დართული საქმეზე, წარმოდგენილი განცხადებები შეეხებოდა მრავალ ახალ პრეტენზიას კონვენციის სხვადასხვა დებულებების საფუძველზე, რომლებიც არ იყვნენ კავშირში მთავარ საჩივართან და რომლებიც შეეხებოდნენ კალამის საქმეში არსებულ ფაქტებს, პირად კონფლიქტს პირველ მომჩივანსა და ბნ. ი.ო-ს – იმჟამინდელ შს მინისტრს შორის, და სხვადასხვა ფაქტებს მის მსჯავრდებასთან დაკავშირებით (იხ. §§ 3-5)

72. სასამართლოს აზრით, იმის გამო, რომ ახალი პრეტენზიები არ აზუსტებენ თავდაპირველ საჩივრებს, რომლებზეც მხარეებმა წამოაყენეს არგუმენტები, აღნიშნული საკითხები ვერ იქნება განხილული ახალი განცხადების კონტექსტში (იხ.

Khaylo v. Ukraine, no. 39964/02, §§ 53 and 54, 13 November 2008, and *Solovey and Zozulya v. Ukraine*, nos. 40774/02 and 4048/03, §§ 45-47, 27 November 2008). ამის გამო, არსებული საქმე შემოიფარგლება მხოლოდ ორი ეპიზოდით: ა. კოტეჯის ჩამორთმევა და მფლობელობის აღდგენის პროცესები და ბ. პროცესი პირველი მომჩივნის წინასწარი დაკავების თაობაზე.

II. კოტეჯის ჩამორთმევა და მფლობელობის აღდგენის პროცესები

73. კონვენციის მე-2, მე-3 და მე-8 მუხლებზე დაყრდნობით, მომჩივნებმა გასაჩივრეს ოჯახის დამამცირებელი და თვითნებური გასახლება კოტეჯიდან 2004 წ. 1 ნოემბერს და აღნიშნულის შედეგად, ბინის დაკარგვის ფკანონი.

74. კონვენციის მე-6 მუხლის 1-ლ პუნქტზე დაყრდნობით, დამოუკიდებლად და მე-13 და მე-14 მუხლებზე - ერთობლივად, მომჩივნებმა გააპროტესტეს ეროვნული სასამართლოს მიერ გაკეთებული დასკვნები, მფლობელობის აღდგენის პროცესის ხანგრძლივობა და გენერალური პროკურატურის უარი სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე პირველი მომჩივნის საჩივარზე დაყრდნობით.

75. კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე, მომჩივნები ასაჩივრებდნენ კოტეჯის ჩამორთმევას და აღნიშნულის შედეგად მოძრავი ქონების დაკარგვას. მეექვსე მომჩივანი ჩიოდა, რომ 2004 წ. 1 ნოემბრიდან 2005 წ. 14 მარტამდე, მას აკრძალა მიწის ნაკვეთით სარგებლობა.

ა. მისაღებობა

1. მხარეთა არგუმენტები

76. მთავრობის განცხადებით, იმის გათვალისწინებით, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მომჩივნები არასოდეს ყოფილან სადავო პროცესების მხარეები, მათი პრეტენზიები დაუშვებლად უნდა იქნას ცნობილი მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვის მიზეზით, კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების თანახმად.

77. მთავრობამ ასევე საჩივარა, რომ სადავო კოტეჯი არ ყოფილა მომჩივნების „მფლობელობა“, როგორც ამას განმარტავს № 1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი, და რომ მისი ჩამორთმევის გასაჩივრება *ratione materiae* შეუსაბამო იყო. რაც შეეხება მომჩივნების მოძრავი ქონების დაკარგვას, მთავრობამ საჩივარა, რომ შესაბამის უწყებებს არ უნდა დაეკისროთ პასუხისმგებლობა ამის გამო. მომჩივნებს მოცემულ ვადაში უნდა დაეკმაყოფილებინათ სახელმწიფო უწყებების მრავალჯერადი მოთხოვნა კოტეჯის დაცლის თაობაზე, რაც მათ მისცემდა მათი ნივთების გატანის საშუალებასაც. მთავრობამ ასევე ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ მეორე მომჩივანს

შეძლო საკუთარი ნივთების გატანა 2004 წ. 1 ნოემბერს მომხდარი გასახლების დროს, ხოლო დანარჩენ მომჩივნებს არაერთხელ შესთავაზეს მოძრავი ქონების გატანა დალუქული კოტეჯიდან.

78. მომჩივნების თქმით, ის ფკანონი, რომ მხოლოდ პირველი განცხადებელი მონაწილეობდა ადგილობრივ პროცესებში, საკმარისი იყო კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის მიზნების შესასრულებლად ყველა მათგანისათვის. მათ განმარტეს, რომ პირველი მომჩივანი იყო ოჯახის უფროსი, მან გაახმოვანა ოჯახის პრობლემები ოჯახის წევრების სახელით და მის მიერ მფლობელობის აღდგენის თაობაზე შეტანილი სარჩელის დადებითად გადაჭრის შემთხვევაში, ყველა მათგანი მოგებულნი დარჩებოდა. მომჩივნებმა ასევე დაამატეს, რომ არანაირ განსხვავებას არ იძლეოდა ის თუ ვინ შეიტანდა სისხლის სამართლის სარჩელს ოჯახის კოტეჯიდან გასახლების თაობაზე, რადგანაც გენერალურ პროკურატურას ამ ფკანონის შესახებ ინფორმაციის მიღებისთანავე უნდა დაეწყო დეტალური გამოძიება და ყველა მომჩივანი ელიარებიანა დაზარალებულად.

79. მომჩივნებმა კომენტარი გააკეთეს მთავრობის პროტესტზე *ratione materiae*, №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის საფუძველზე. რაც შეეხება მათ მოძრავ ქონებას, მომჩივნებმა შესაბამისი უწყებები დაადანაშაულეს გაუფრთხილებელ ქმედებებში. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ კოტეჯის დალუქვისას, სამინისტროს არ ჩაუტარებია ნივთების ინვენტარიზაცია. ისინი ასევე ჩიოდნენ, რომ 2005-2006 წლებში სახელმწიფო უწყების მიერ კოტეჯში ჩატარებული აღდგენითი სამუშაოების შედეგად, მთელი მათი მოძრავი ქონება და შინაური ფრინველები/ცხოველები განადგურდა.

2. სასამართლოს შეფასება

ა. მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მომჩივნების მიერ წარმოდგენილი პრეტენზიები

80. სასამართლო მიუთითებს, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად ისინი, ვისაც სარჩელი შეაქვს სახელმწიფოს წინააღმდეგ, ვალდებულნი არიან, პირველ რიგში მიმართონ ადგილობრივ სამართლებრივი სისტემით გათვალისწინებულ დაცვის ზომებს, მათ შორის გასაჩივრების საშუალებებს. უშუალოდ სასამართლოსათვის განკუთვნილი სარჩელები უნდა შეტანილიყო ადგილობრივ სასამართლოში, სულ მცირე არსებითი განხილვისთვის და ადგილობრივი კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური მოთხოვნების დაცვით. 35-ე მუხლის 1-ლი პუნქტის თანახმად, საჭიროა ყველა პროცესუალური ზომის გამოყენება კონვენციის დარღვევის თავიდან ასაცილებლად (იხ. *Cardot v. France*, 19 March 1991, § 34, Series A no. 200). სასამართლომ უნდა გამოიკვლიოს, საქმის ყველა გარემოებების ფონზე, გააკეთეს თუ არა მომჩივნებმა ყველაფერი, გონივრულობის ფარგლებში, ადგილობრივი დაცვის საშუალების ამოსაწურად (იხ. *Akdivar and Others v. Turkey*, 16 September 1996, § 69, *Reports of Judgments and Decisions* 1996-IV, and *Baumann v. France*, no. 33592/96, § 40, 22 May 2001).

81. სასამართლო აღნიშნავს, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მომჩივნები არ ყოფილან სადავო სამოქალაქო და სისხლის სამართლის პროცესების მხარეები. საქმის მასალების თანახმად, ამ ხუთ მომჩივანს არ მიუცია პირველი მომჩივნისათვის ან ადვოკატისათვის მათი სახელით მოქმედების უფლებამოსილება და არც კომპეტენტური სასამართლო ან პროკურატურის უწყებისთვის არ მიუმართავთ საკუთარი წერილობითი ან/და ზეპირი განცხადებით (იხ., by converse implication, *P., C. and S. v. the United Kingdom* (dec.), no. 56547/00, 11 December 2001). აღნიშნულის სამართლებრივი შედეგი იყო მაგალითად ის, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა პირველი მომჩივნის სამართლებრივი სიტუაციით შეზღუდეს გადაწყვეტილების ფარგლები მფლობელობის აღდგენის თაობაზე გამართულ პროცესში, დანარჩენი ხუთი მომჩივნის უფლებების გამოცხადების გარეშე (იხ. paragraph 23 above and, conversely, *Khamidov v. Russia*, no. 72118/01, §§ 27, 28, 48-50 and 125, ECHR 2007-XII, and *P., C. and S.*, cited above).

82. თითოეული მომჩივნის მონაწილეობა ადგილობრივ პროცესებში არ იქნებოდა ფუჭი ან ზედმეტი, თუ გავითვალისწინებთ, რომ მათი კონკრეტული სიტუაციებიდან გამომდინარე, ყველა მათგანი თანაბრად არ დაზარალებულა გასაჩივრებული სამართალდარღვევების შედეგად. მაგალითისათვის, მხოლოდ მეორე მომჩივანი იყო 2004 წ. 1 ნოემბერს გასახლების დროს ცუდი მოპყრობის შედეგად პირდაპირი დაზარალებული (იხ. §86). გარდა ამისა, სავსებით ნათელი არ არის, ითვლება თუ არა კოტეჯი ბინად ყველა მომჩივნისათვის, კონვენციის მე-8 მუხლში მოცემული განმარტების თანახმად, რადგანაც ყველა მათგანი არ იყო კოტეჯთან მჭიდროდ დაკავშირებული მისი დაკარგვის მომენტისათვის (იხ. §§ 13 და 30 და შეადარეთ: *Zehentner v. Austria*, no. 20082/02, § 52 and 53, ECHR 2009-...)). სასამართლო არ არის დარწმუნებული მეექვსე მომჩივნის პოზიციაში მოცემულ საქმეში. ბუნდოვანია, ისიც გამოთქვამს პრეტენზიას კოტეჯის და მიმდებარე ტერიტორიის მფლობელობაზე თუ მისი სარჩელი შემოიფარგლება მხოლოდ მასზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის უკანონო დაკავებით შს სამინისტროს მიერ 2004 წ. 1 ნოემბრიდან 2005 წ. 15 მარტამდე პერიოდში. ნებისმიერ შემთხვევაში მას არასოდეს გაუჟღერებია ეს უკანასკნელი პრეტენზია ადგილობრივი სასამართლოების წინაშე. მთლიანობაში, სასამართლო თვლის, რომ თითოეული მომჩივნის მონაწილეობა ადგილობრივ პროცესებში უზრუნველყოფდა ფაქტობრივ კონკრეტიკას და სამართლებრივ განსაზღვრულობას როგორც ადგილობრივი უწყებების, ისე სასამართლოსთვის (შეად.: *Gorraiz Lizarraga and Others v. Spain*, no. 62543/00, §§ 37-39, ECHR 2004-III, and *Çelikkilek v. Turkey* (dec.), no. 27693/95, 22 June 1999).

83. დანარჩენი ხუთი მომჩივნის იმედი, რომ ისინი თანაბრად ისარგებლებენ პირველი მომჩივნის სამოქალაქო და სისხლის სამართლის სარჩელების წარმატებული შედეგებით (იხ. §78), სასამართლოს აზრით, არ ათავისუფლებს მათ, როგორც უფლებების მქონე ქმედითუნარიან პიროვნებებს, ქმედებების განხორციელებისაგან, გამომდინარე ადგილობრივი სამართალწარმოების ვალდებულებიდან, პირველ მომჩივანთან ერთობლივად ან მისგან დამოუკიდებლად. მათ მართლა რომ ნდომოდათ პირველი მომჩივნის მათ წარმომადგენლად დანიშვნა,

უფრო სწორი იქნებოდა მისთვის უფლებამოსილების მინიჭება და არა არაფორმალური მინდობა მის სტატუსზე – როგორც ოჯახის უფროსზე. ეს მარტივი ფორმლობა ადგილობრივ უწყებებს და ასევე სასამართლოს დაანახვებდა, რომ პირველმა მომჩივანმა კოტეჯის ჩამორთმევის გამო სარჩელები შეიტანა ხუთი დანარჩენი მომჩივნის სახელითაც (იხ. *Khamidov*, ხსენებული ზემოთ). ამასთან დაკავშირებით განმეორებით უნდა ითქვას, რომ კონვენციის 35-ე მუხლის 1 პუნქტმა უნდა იმოქმეოს ადგილობრივი ფორმლობების დაცვით გარკვეულ დონეზე, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ამ საქმის მსგავსად, სასწროზე დევს სამართლებრივი განსაზღვრულობის საკითხი (მაგალითისთვის იხ., for example, *İlhan v. Turkey* [GC], no. 22277/93, § 53, ECHR 2000-VII, and *Agbovi v. Germany* (dec.), no. 71759/01, 25 September 2006).

84. ზემოაღნიშნული მოსაზრებების გათვალისწინებით, სასამართლო ასკვნის, რომ მეორე, მესამე, მეოთხე, მეხუთე და მეექვსე მომჩივნები არ თავისუფლდებიან ადგილობრივი სასამართლო პროცესების განხორციელების მოთხოვნისაგან. შესაბამისად, მათი პრეტენზიები უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

ბ. პირველი მომჩივნის მიერ, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები

85. პირველმა მომჩივანმა წამოაყენა პრეტენზიები კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე, რომლებიც შეეხება კოტეჯიდან გასახლების დეგრადირებულ ფორმას, რომელსაც ადგილი ჰქონდა 2004 წ. 1 ნოემბერს.

86. თუმცა, როგორც საქმის ფაქტობრივი გარემოებებიდან ირკვევა, პირველი განცხადებელი თავად არ დაზარალებულა აღნიშნული დარღვევის შედეგად, რადგანაც იგი გასახლების დროს სახლში არ იმყოფებოდა (იხ. §21). აღნიშნული ინციდენტის ერთადერთი პირდაპირი დაზარალებული იყო მისი მეუღლე – მეორე მომჩივანი - პირი რომელსაც გააჩნდა მოქმედების სრული სამართლებრივი უფლება, რომელმაც არ ამოწურა მიმართვის შიდასამართლებრივი საშუალებები (იხ. §84). ასეთი გარემოებების ფონზე, პირველი მომჩივანი ვერ გამოთქვამს სამართლიან პრეტენზიას იმის შესახებ, თითქოს იგი იყო მეორე მომჩივნის უფლებების დარღვევის შედეგად არაპირდაპირი დაზარალებული, კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების შესაბამისად (შეად. *İlhan*, ხსენებული ზემოთ, § 53, და *Çelikkilek*, ხსენებული ზემოთ).

87. აქედან გამომდინარე, პირველი მომჩივნის მიერ კონვენციის მე-2 და მე-3 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები *ratione personae* შეუსაბამოა კონვენციის დებულებებთან კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული

განმარტებების ფარგლებში და უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად.

გ. პირველი მომჩივნის მიერ, კონვენციის მე-6 მუხლის (§1), მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები

88. კონვენციის მე-6 მუხლზე (§1) დაყრდნობით, დამოუკიდებლად და მე-13 და მე-14 მუხლებთან ერთობლიობაში, პირველმა მომჩივანმა ეჭვქვეშ დააყენა ეროვნული სასამართლოს დასკვნები მფლობელობის აღდგენის თაობაზე, გაასაჩივრა პროცესის ხანგრძლივობა და სახელმწიფო უწყებების უარი შს სამინისტროს მაღალჩინოსნების წინააღმდეგ საქმის აღძვრაზე.

89. რაც შეეხება უკანასკნელ პრეტენზიას, სასამართლომ განმეორებით აღნიშნა, რომ კონვენციის მე-6 მუხლის (§1) არ იძლევა მესამე მხარის წინააღმდეგ სისხლის სამართლის პროცესის წამოწყების გარანტიას (იხ., სხვათა შორის, *Members (97) of the Gldani Congregation of Jehovah's Witnesses v. Georgia* (dec.), no. 71156/01, 6 July 2004). სასამართლო მიუთითებს, რომ პრეტენზია *ratione materiae* არ შეესაბამება კონვენციის დებულებებს 35-ე მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მნიშვნელობით და უარყოფილ უნდა იქნას 35-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად.

90. პირველი მომჩივნის მიერ, კონვენციის მე-6 მუხლის (§1) საფუძველზე მფლობელობის აღდგენის თაობაზე წამოყენებული პრეტენზიის პასუხად სასამართლო მიუთითებს, რომ საქმის მასალები არ მიუთითებს რაიმე დამოუკიდებელი საკითხის არსებობაზე მოცემული დებულების ფარგლებში, და თვლის რომ უფრო უპრიანი იქნებოდა ადგილობრივი სასამართლოების მიერ ფაქტების დადგენის და კანონის შესახებ პრეტენზიების განხილვა მომხდარიყო კონვენციის მე-8 მუხლისა და № 1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე (იხ. §§ 110-118 და 122-123). რაც შეეხება პროცესების ხანგრძლივობას, სასამართლო მიუთითებს, რომ პროცესების ხანგრძლივობა შეადგენს ორ წელიწადზე ნაკლებს და მოიცავს იურისდიქციის სამ დონეს (იხ. §§ 25 და 42). ეს პერიოდი და ის ფკანონი, რომ არ ყოფილა ინერტულობის ხანგრძლივი პერიოდები, ვერ დააყენებს ეჭვქვეშ „გონივრული ვადის“ მოთხოვნას, რომელზეც საუბარია აღნიშნულ დებულებაში (მაგალითისთვის იხ., *Zhurba v. Ukraine* (dec.), no. 11215/03, 19 June 2007). სეე, ფორ ეხამპლზე).

91. და ბოლოს, სასამართლოს ხელთ არსებული მასალის გათვალისწინებითა და იმდენად, რამდენადაც გასაჩივრებული საკითხები მისი კომპეტენციის ფარგლებში ექცევა, სასამართლო ადგენს, რომ წინამდებარე საქმეში კონვენციის მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიების განცალკევებით განხილვის საჭიროება არ არსებობს.

92. ამგვარად, პირველი მომჩივნის მიერ, კონვენციის მე-6 მუხლის (§1), მე-13 და მე-14 მუხლების საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები, რომლებიც ეხება

მფლობელობის აღდგენის პროცესებს, აშკარად საფუძველს მოკლებულია და უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

დ. პირველი მომჩივნის მიერ, კონვენციის მე-8 მუხლისა და I დამატებით ოქმის 1-ლი მუხლის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები

93. პირველი მომჩივანი აცხადებდა პრეტენზიებს კოტეჯის – მისი ბინის დაკარგვის თაობაზე, კონვენციის მე-8 მუხლისა და № 1 დამატებითი ოქმის 1-ლი პუნქტის საფუძველზე. აღნიშნული დებულების ფარგლებში, იგი ჩიოდა საკუთარი და ოჯახის ნივთების დაკარგვის შესახებ.

I. რაც შეეხება მოძრავი ქონების დაკარგვას

94. სასამართლო მიუთითებს, რომ პირველი მომჩივნის მიერ დაწყებული სამოქალაქო საქმის მიზანი იყო კოტეჯზე – როგორც უძრავ ქონებაზე მფლობელობის აღდგენა, როგორც ამას განმარტავს სამოქალაქო კოდექსი და დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კანონში მოცემული ბინით უზრუნველყოფის გარანტიები (იხ. §§ 25-26, 36 და 43).

95. თუმცა, არც პროცესის მსვლელობისას და არც ცალკე სარჩელის შეტანით, რაც უფრო სწორი იქნებოდა, მომჩივანს არ მოუთხოვია კომპენსაცია პირადი და ოჯახის ნივთებისა და სხვა მოძრავი ქონების დაკარგვის სანაცვლოდ. ამასთან დაკავშირებით, პირველი მომჩივნის მიერ წამოყენებული არგუმენტების მხედველობაში მიღებით, სასამართლო მიიჩნევს, რომ იმის გამო, რომ პირველი მომჩივანი აღნიშნული ქონების დაკარგვას მიაწერს შს სამინისტროს მიერ ჩადენილ ქმედებებს (იხ. §79), მას უნდა ეჩივლა სამინისტროსათვის სამოქალაქო კოდექსის დელიქტური დებულებებით გათვალისწინებული ზარალის გამო, კერძოდ 992-ე და 1005-ე მუხლებით (იხ. § 64).

96. იმის გამო, რომ ეს კონკრეტული მიმართვის საშუალება არ ყოფილა გამოყენებული ადგილობრივ დონეზე, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი მომჩივნის მიერ, № 1 დამატებითი ოქმის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, მოძრავი ქონების დაკარგვასთან დაკავშირებით წამოყენებული პრეტენზია უარყოფილ უნდა იქნას კონვენციის 35-ე მუხლის 1-ლი და მე-4 პუნქტების თანახმად, მიმართვის მდდასამართლებრივი საშუალებების არ-ამოწურვის გამო.

II. რაც შეეხება კოტეჯის ჩამორთმევას

97. სასამართლო მიუთითებს, რომ ის შეკითხვა, არის თუ არა კოტეჯი პირველი მომჩივნის „მფლობელობა“ № 1 დამატებითი ოქმის 1-ლი პუნქტის

მიხედვით, სერიოზულ საკითხად დგას ფაქტობრივი და კანონიერი კუთხით. შესაბამისად, მთავრობის პრეტენზია ამასთან დაკავშირებით (იხ. §77) უნდა დაერთოს საქმის ფაქტობრივ გარემოებებს.

98. სასამართლო ასკვნის, რომ პირველი მომჩივნის მიერ, კონვენციის მე-8 მუხლის და №1 დამატებითი ოქმის 1-ლი პუნქტის საფუძველზე, კოტეჯის ჩამორთმევასთან დაკავშირებით წამოყენებული პრეტენზიები არც ამკარად საფუძველს მოკლებულია და არც დაუშვებელი კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტში მოცემული მნიშვნელობიდან გამომდინარე. შესაბამისად, ისინი დასაშვებად უნდა იქნას ცნობილი.

ბ. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

I. №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის სავარაუდო დარღვევა

99. №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„ყველა ფიზიკურ და იურიდიულ პირს აქვს უფლება ისარგებლოს მისი საკუთრებით. არავის არ უნდა ჩამოერთვას მისი საკუთრება, თუ ეს არ შედის საჯარო ინტერესებში და არ ექვემდებარება პირობებს, რომლებიც კანონის და საერთაშორისო კანონმდებლობის ზოგადი პრინციპებით არის გათვალისწინებული“.

ა. მხარეთა არგუმენტები

100. მთავრობა მიუთითებს, რომ პირველ მომჩივანს არც კანონით და არც სასამართლოს გადაწყვეტილებით, არასოდეს მიუღია რეგისტრირებული საკუთრების უფლება იმ კოტეჯზე, რომელიც ეკუთვნოდა შს სამინისტროს. იგი შესაბამისად, ვერ გამოთქვამს პრეტენზიას და ვერ საჩივარებს, რომ იყო კეთლსინდისიერი მფლობელი სამოქალაქო კოდექსის 159-ე მუხლის თანახმად. მთავრობა განმეორებით მიუთითებს, რომ სამინისტროს 2000 წ. 20 აპრილის წერილი არ უნდა ჩაითვალოს პირველი მომჩივნის მართლზომიერი მფლობელობის დასტურად, იმის გათვალისწინებით, რომ მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის

სამინისტროს გააჩნდა სახელმწიფო ქონების განკარგვის უფლებამოსილება პრეზიდენტის 1997 წ. 8 სექტემბრის ბრძანებულების საფუძველზე. არც იძულებით გადაადგილებულ პირთა კანონი არ არის შემხებლობაში აღნიშნულ სიტუაციასთან, იმის გამო, რომ სადავო კოტეჯი პირველი მომჩივნისათვის დევნილთა და განსახლების სამინისტროს არ გადაუცია. მთავრობა ასკვნის, რომ პირველმა მომჩივანმა კოტეჯი თვითნებურად დაიკავა და აქედან გამომდინარე, კოტეჯის მფლობელობა იყო არაკეთილსინდისიერი.

101. სასამართლოს რომც დაედგინა, რომ სადავო კოტეჯი ექცეოდა № 1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით გათვალისწინებულ დაცვის ფარგლებში, მთავრობა დავობდა, რომ ჩარევა მაინც გამართლებული იყო. ამგვარად, იმდენად რამდენადაც კოტეჯი და მისი მიმდებარე ტერიტორია წარმოადგენდა შს სამინისტროს სტრატეგიულ ობიექტს, სამინისტროს – როგორც ერთადერთ კანონიერ მფლობელს – სრული უფლება ჰქონდა მოეთხოვა საკუთრების დაბრუნება პირველი მომჩივნის არაკეთილსინდისიერი ფლობიდან, სამოქალაქო კოდექსის 179-ე მუხლის თანახმად. მთავრობა ასევე აცხადებს, რომ იმის გამო, რომ პირველი მომჩივანი შეასახლეს კოტეჯში დაუდგენელი ვადით, მინისტრის ზეპირი გადაწყვეტილების საფუძველზე, სამინისტროს შეეძლო, მოეთხოვა კოტეჯზე მფლობელობის აღდგენა მისთვის სასურველ ნებისმიერ დროს, მეორე ზეპირი გადაწყვეტილების საფუძველზე. სამინისტრომ ასევე მიუთითა, რომ კოტეჯის ჩამორთმევა მოულოდნელი არ ყოფილა პირველი მომჩივნისათვის, რადგანაც 2004 წ. 1 ნოემბერს განხორციელებულ გასახლებამდე, მას რამდენჯერმე სთხოვეს კოტეჯის დაცლა. და ბოლოს, მთავრობამ საჩივარა, რომ ვინაიდან ეროვნულმა სასამართლოებმა დაადასტურეს სამინისტროს ქმედებათა კანონიერება, ევროსასამართლოს არ უნდა განეხილა ადგილობრივი სასამართლოების მიერ გამოტანილი გადაწყვეტილებები.

102. პირველმა მომჩივანმა უპასუხა, რომ იგი კეთილსინდისიერად ფლობდა სადავო კოტეჯს, იმდენად რამდენადაც კოტეჯი მას გადასცა თავად სამინისტრომ. ამ ფაქტს ადასტურებდა მნიშვნელოვანი მტკიცებულებები: მოპასუხე სამინისტროს განცხადებები ადგილობრივ სასამართლოებში, კომპეტენტური მაღალჩინოსნების ზეპირი და წერილობითი განცხადებები და მთავრობის მიერ სასამართლოს წინაშე გაკეთებული განცხადებები. თუმცა, რომც მივიჩნიოთ, რომ კოტეჯის მის მიერ ფლობას აკლდა მართლზომიერება, სამინისტროს მაინც არ ჰქონდა მისთვის მფლობელობის წართმევის უფლება სასამართლო ორდერის გარეშე. ეს ჩარევა ასევე ვერ განიხილება როგორც „საჯარო ინტერესებიდან გამომდინარე“, რადგანაც მოპასუხე სამინისტრომ ვერ დაამტკიცა მართლზომიერი მიზნის არსებობა. ამგვარად, მათი განცხადება, რომ კოტეჯი – ჩვეულებრივი საცხოვრებელი – წარმოადგენდა „სტრატეგიულ ობიექტს“, დარჩა ბუნდოვან, დაუსაბუთებელ მტკიცებად.

ბ. სასამართლოს შეფასება

I. იყო თუ არა „მფლობელობა“

103. სასამართლო განმეორებით აცხადებს, რომ „მფლობელობის“ ცნებად №1 დამატებითი ოქმის 1-ლი პუნქტის პირველ ნაწილი თვალსაზრისით, აქვს ავტონომიური მნიშვნელობა, რომელიც არ შემოიფარგლება მხოლოდ ფიზიკური ნივთების მესაკუთრეობით და დამოუკიდებელია ადგილობრივ კანონმდებლობაში არსებული ფორმალური კლასიფიკაციისაგან: გამოსაკვლევი საკითხი შემდეგში მდგომარეობს: შეიძლება თუ არა ჩაითვალოს, რომ საქმის ფაქტობრივი გარემოებების ერთიანობა მომჩივანს ანიჭებს საკუთრების უფლებას იმ მატერიალურ ინტერესზე, რომელსაც იცავს აღნიშნული დებულება (იხ., *mutatis mutandis, Zwierzyński v. Poland*, no. 34049/96, § 63, ECHR 2001-VI). შესაბამისად, ისევე როგორც ფიზიკური ნივთები, კონკრეტული უფლებები და ინტერესი, რომლებიც წარმოადგენენ კანონივებს, შეიძლება ასევე ჩაითვალოს „მფლობელობად“ ამ დებულების საჭიროებებიდან გამომდინარე (იხ. *Iatridis v. Greece* [GC], no. 31107/96, § 54, ECHR 1999-II, and *Beyeler v. Italy* [GC], no. 33202/96, § 100, ECHR 2000-I). „მფლობელობის“ ცნება არ იზღუდება „არსებულ მფლობელობად“, არამედ შეიძლება მოიცავდეს კანონივებს, მათ შორის მოთხოვნებს, რომლებთან დაკავშირებითაც მომჩივანს შეუძლია იდავოს, რომ მას გააჩნია სულმ მცირე გონივრული და „მართლზომიერი მოლოდინი“ იმისა, რომ შეძლებს საკუთრების უფლებით სარგებლობას (იხ., *Prince Hans-Adam II of Liechtenstein v. Germany* [GC], no. 42527/98, § 83, ECHR 2001-VIII). „მოლოდინი“ მართლზომიერია, თუკი იგი ემყარება საკანონმდებლო დებულებას ან ნორმატიულ აქტს, რომელიც შეეხება საკუთრების ინტერესს (იხ. *Kopecký v. Slovakia* [GC], no. 44912/98, §§ 45-52, ECHR 2004-IX).

104. სასამართლო ასკვნის, რომ პირველი მომჩივანი მის ოჯახთან ერთად კოტეჯში შესახლდა 1994 წ. იანვარში. იგი კოტეჯში უკანონოდ არ შესახლებულა: შენობა მას შესთავაზა მისმა დამსაქმებელმა – შს სამინისტრომ. ეს ფაქტები ნათლად დასტურდება საქმის ფაქტობრივი გარემოებებით (იხ. §§ 12, 29, 32-33 და 49).

105. სასამართლო მიუთითებს, რომ მთავრობა ვერ დაეყენობა პრეზიდენტის 1997 წ. 8 სექტემბრის ბრძანებულებას და დევნილთა შესახებ 1996 წ. 28 ივნისის კანონს იმის დასასაბუთებლად, რომ მხოლოდ სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროს ან ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს გააჩნდათ 1993 წ. იანვარში პირველი მომჩივნის კოტეჯში შესახლების უფლებამოსილება, ვინაიდან რადგანაც მისი ჩასახლება წინ უსწრებდა აღნიშნული ნორმატიული აქტების მიღებას. სასამართლო აღნიშნავს 1993 წ. 29 ოქტომბრის მინისტრთა კაბინეტის ბრძანების არსებობას, რომელიც ნათლად მიუთითებს, რომ სამინისტრო უფლებამოსილი იყო, კოტეჯი გამოეყენებინა აფხაზეთიდან დევნილი თანამშრომლების ჩასახლებლად; აღნიშნული ზედმიწევნით შეესაბამება პირველი მომჩივნის მდგომარეობას (იხ. §§ 9 და 38). თუმცა, იმის დაშვებითაც კი, რომ არსებობდა კოტეჯის პირველი მომჩივნისათვის გადაცემის უფრო შესაფერისი ფორმალური პროცედურა, რაც იყო კერძო სამართლის ჩვეულებრივი გარიგება და არ ეხებოდა სასიცოცხლო მნიშვნელობის საჯარო ინტერესებს, სამინისტროს მიერ ჩადენილი ეს შეცდომა არ

შეიძლება მიეწეროს პირველ მომჩივანს და არ იძლევა ისეთი დასკვნის გაკეთების საშუალებას, თითქოს იგი თვითნებურად შესახლდა კოტეჯში (იხ. *Stretch v. the United Kingdom*, no. 44277/98, §§ 34, 39 and 40, 24 June 2003). ამასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია ისტორიული კონტექსტი, რომლის პირობებშიც ჰქონდა ადგილი საქმეში არსებულ ფაქტებს. თუმცა, სასამართლო ითვალისწინებს პირველი მომჩივნის მოსაზრებას, რომ 1993-1994 წლებში საქართველოში არსებული ჰუმანიტარული კრიზისის გათვალისწინებით, რა დროსაც ცენტრალურ ხელისუფლებას უნდა დაებინავებინა დაახლოებით 300.000 იძულებით გადაადგილებული პირი აფხაზეთიდან, ნაკლებად რეალისტური იყო მთავრობის მიერ ყველა ფორმლობის დაცვა ბინების გამოყოფის საკითხთან დაკავშირებით.

106. რაც შეეხება პირველი მომჩივნის მიერ კოტეჯის გრძელვადიან ფლობას, სასამართლოს მიაჩნია, რომ ეს იყო კეთილსინდისიერი ქმედება, რეგისტრირებული საკუთრების უფლების არარსებობის მიუხედავად, შემდეგი მიზეზების გამო. სასამართლოს პრკანონიკის თანახმად, უმთავრესი მნიშვნელობა ამასთან დაკავშირებით აქვს უწყებების მიერ მკაფიოდ გამოხატულ ტოლერანტობას პირველი მომჩივნის მიერ კოტეჯის და მიმდებარე მიწის ნაკვეთის ექსკლუზიური, შეუფერხებელი და ღია სარგებლობის ფკანონისადმი ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში. ამგვარად, აღნიშნული პერიოდის მანძილზე, პირველმა მომჩივანმა დააყენა მრავალი დეტალი, დარგო ხეხილი და ბოსტნეული, მოაშენა შინაური ფრინველები და ცხოველები; მან ასევე შეძლო, თავმესაფარი მიეცა რვა დევნილი ნათესავისთვის, სახელმწიფოსაგან რაიმე დამატებითი ნებართვის მიღების გარეშე; სახელმწიფოს არასოდეს გაუპროტესტებია პირველი მომჩივნის მიერ შექმნილი სოციალურ-ეკონომიკური და ოჯახური გარემო (იხ. *Öneryıldız v. Turkey* [GC], no. 48939/99, §§ 105, 106 and 127, ECHR 2004-XII; *Stretch*, cited above, § 34; *Doğan and Others v. Turkey*, nos. 8803-8811/02, 8813/02 and 8815-8819/02, § 139, ECHR 2004-VI (extracts); *Matos e Silva, Lda., and Others v. Portugal*, 16 September 1996, § 72, *Reports* 1996-IV).

107. სასამართლო დამატებით მნიშვნელობას ანიჭებს იმ ფაქტს, რომ სამინისტროს მიერ კოტეჯის პირველი მომჩივნისათვის დროებით თავმესაფრად გადაცემის შემდგომ, სახელმწიფომ, სხვადასხვა ნორმატიული აქტების შემოღებით, დაამტკიცა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები საბინაო სექტორში და შეიმუშავა სტაბილური გარანტიები მათ დასაცავად (იხ. §§ 39, 67 და 69). ყველაზე ცნობილი და ავტორიტეტული მათ შორის იყო კანონი დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა შესახებ, რომელიც აღიარებდა, რომ დევნილთა მიერ საცხოვრებლის კეთილსინდისიერი ფლობა წარმოადგენდა მატერიალურ უფლებას. ამგვარად, შეუძლებელი იყო იძულებით გადაადგილებული პირის საცხოვრებლიდან გამოსახლება მისი ნების წინააღმდეგ და მსგავსი ალტერნატიული თავმესაფრის ან ფულადი კომპენსაციის შეთავაზების გარეშე. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ *ხინთიბიძისა და სხვების* საქმეზე 2001 წ. 28 ნოემბერს გამოტანილ გადაწყვეტილებაში დაადასტურა, რომ იძულებით გადაადგილებული პირის დროებითი საცხოვრებელი, მიუხედავად იმისა, ჰქონდა თუ არა ასეთ პირს რეგისტრირებული საკუთრების

უფლება, წარმოადგენდა სამოქალაქო კოდექსში მოცემული მფლობელობის წესებით დაცულ უფლებას (იხ. § 69).

108. აღნიშნული ფაქტობრივი და სამართლებრივი მოსაზრებების გათვალისწინებით და ასევე მოცემული საქმის ფაქტობრივი გარემოებების მხედველობაში მიღებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველ მომჩივანს უფლება ჰქონდა კოტეჯი გამოეყენებინა ბინად და რომ ამ უფლებას გააჩნდა ნათელი მატერიალური განზომილება. შესაბამისად იგი უნდა ჩაითვალოს „მფლობელობად“ №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის მიზნებიდან გამომდინარე (იხ. *Minasyan and Semerjyan v. Armenia*, no. 27651/05, § 56, 23 June 2009).

II. ჰქონდა თუ არა ადგილი ჩარევას

109. მხარეთა შორის დავაში ჩარევას ადგილი არ ჰქონია, №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის მნიშვნელობით (იხ. §§ 101 და 102) და სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული სიტუაცია გამოკვლეული უნდა იქნას №1 დამატებითი ოქმის 1-ლ მუხლში მოცემული ზოგადი წესის ფონზე (იხ., მაგალითად, *Beyeler*, cited above, § 106).

III. იყო თუ არა ჩარევა გამართლებული

110. იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას შესაბამისობა №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლში მოცემულ ზოგად წესთან, ჩარევა, კანონის თანახმად, უნდა განხორციელდეს საჯარო ინტერესიდან გამომდინარე და დასახული მიზნის პროპორციულად (იხ. *Beyeler*, ხსენებული §§ 108 და 111).

111. სასამართლო მიუთითებს, რომ სამოქალაქო კოდექსისა (172-ე მუხლი §2) და დევნილთა შესახებ კანონის (მე-7 მუხლი, §3) თანახმად, სამინისტროსთვის კოტეჯის პირველი მომჩივნის მფლობელობიდან დაბრუნების ერთადერთი კანონიერი გზა იყო შეჯიბრებითობის პრინციპით გამართული პროცესი სასამართლოში. ზუსტად ასე მოიქცა სხვა სახელმწიფო უწყება საქმეში „*ხინთიბიძე და სხვები*“ (იხ. §69). როდესაც სასამართლო გასცემდა პირველი მომჩივნისათვის მფლობელობის ჩამორთმევის ნებართვას, მხოლოდ მაშინ იქნებოდა შესაძლებელი გასახლების პროცესის – იძულების ზომის – განხორციელება პირველი მომჩივნის წინააღმდეგ, სააღსრულებო წარმოებათა შესახებ კანონის საფუძველზე (იხ. § 68).

112. თუმცა, მოცემულ საქმეში გასახლება და მფლობელობის ჩამორთმევა მოხდა სასამართლო ნებართვის გარეშე. პირიქით, მთავრობამ მოიშველია შს მინისტრის „ზეპირი ბრძანების“ არსებობა. სასამართლო მიუთითებს, რომ პირველ რიგში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ზეპირი ადმინისტრაციული აქტის გამოცემა დასაშვებია მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც არსებობს გარდაუვალი რისკი საჯარო ინტერესის ან სხვა პირთა უფლებების წინააღმდეგ. სასამართლოსათვის გაუგებარია თუ რატომ დადგა ასე მწვავედ პირველი მომჩივნის მიერ კოტეჯის დაკავების საკითხი, როცა იგი

ოჯახთან ერთად 10 წელზე მეტი ცხოვრობდა ამ კოტეჯში მშვიდობიანად. უფრო მეტიც, მინისტრს ბრძანება ხელახლა უნდა გამოეცა წერილობითი ფორმით და სამი დღის ვადაში, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად; ამ შემთხვევაში მან ეს არ გააკეთა. ასეც რომ იყოს, მოსაზრებები მინისტრის ბრძანების გარშემო უბრალოდ შემთხვევითი ხასიათის მატარებელია. რაც გასათვალისწინებელია სასამართლოსათვის, არის ის, რომ სამინისტრომ პირველ მომჩივანს ჩამოართვა კოტეჯი სამართლიანი შეჯიბრის შედეგად მოპოვებული სასამართლო ნებართვის გარეშე.

113. რაც შეეხება მთავრობის არგუმენტს, რომ ადგილობრივმა სასამართლომ - *ex post facto* - მოგვიანებით დაამტკიცა პირველი მომჩივნის გასახლება და მფლობელობის წართმევა, ზემოთ მოყვანილი დასკვნების ფონზე, სასამართლო განმეორებით აღნიშნავს, რომ შეჯიბრებითი პროცესი, რომელიც მხარეებს საშუალებას მისცემდა, გამოეყენებინათ ეფექტური საპროცესო დამცავი ზომები თვითნებური ქმედებების წინააღმდეგ, ადგილობრივი კანონმდებლობის თანახმად, უნდა ყოფილიყო აღნიშნული ჩარევის წინმსწრები (იხ., *mutatis mutandis, Hentrich v. France*, 22 September 1994, §§ 41, 42, 45 and 46, Series A no. 296-A). უნდა აღინიშნოს, რომ როდასაც სასწორზე დევს კონვენციით ან მისი დამატებითი ოქმებით გათვალისწინებული უფლებები, სასამართლო არ იზღუდება ადგილობრივი სასამართლოების დასკვნებით და შეუძლია გასცდეს მათ ან გადადოს ისინი გვერდზე თუ ეს გარდაუვალია კონკრეტული საქმის გარემოებებიდან გამომდინარე (სხვა წყაროებს შორის იხ., *Assanidze v. Georgia* [GC], no. 71503/01, § 171, ECHR 2004-II; *Bruncrona v. Finland*, no. 41673/98, § 75, 16 November 2004; *J.A. Pye (Oxford) Ltd and J.A. Pye (Oxford) Land Ltd v. the United Kingdom* [GC], no. 44302/02, § 75, ECHR 2007-X; *Khamidov*, cited above, § 135; *Matyar v. Turkey*, no. 23423/94, § 108, 21 February 2002).

114. კერძოდ, სასამართლო მიუთითებს, რომ ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ შეძლეს იმის აღიარება, რომ პირველმა მომჩივანმა მიიღო კოტეჯი და კეთილსინდისიერად, უწყვეტად ფლობდა მას 10 წ. განმავლობაში, ისე რომ სახელმწიფოს მხრიდან არ შეხვედრია არავითარი პრობლემა, რასაც ადასტურებს საქმის მასალებში არსებული მტკიცებულებები (იხ. §§ 104-107). სასამართლოებს ასევე მხედველობიდან გამორჩათ ის გარემოება, რომ მომჩივნისათვის მფლობელობის ჩამორთმევა და გასახლება მოხდა მოქმედი ადგილობრივი კანონმდებლობის საწინააღმდეგოდ (იხ. §§ 111-112). და მაინც, როგორც აღნიშნა პირველი ინსტანციის სასამართლომ და ასევე განსხვავებული აზრის მქონე მოსამართლეებმა სააპელაციო და საკასაციო სასამართლოებში, ასეთი დასკვნა ძალზე მნიშვნელოვანი იყო პირველი მომჩივნის მფლობელობის უფლების აღიარებისათვის სამოქალაქო კოდექსის 160-ე მუხლის *in fine* თანახმად (იხ. §§ 26, 37 და 44).

115. რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, ადგილობრივმა სასამართლოებმა ვერ უზრუნველყვეს პირველი მომჩივანი სათანადო დაცვით იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა შესახებ კანონის საფუძველზე. კერძოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2006 წ. 27 სექტემბრის საბოლოო გადაწყვეტილებაში მითითებულია, რომ პირველ მომჩივანს არ შეეძლო

დაყრდნობოდა იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა შესახებ კანონში მოცემულ დაბინავების გარანტიას, იმის გამო, რომ იგი კოტეჯში არ შეუსახლებია ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს – უწყებას, რომელიც უშუალოდ კურირებდა აღნიშნულ საკითხებს (იხ. §43). სასამართლოსათვის დასაჩივრებელი იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა შესახებ კანონის ასეთი ფორმალისტური ინტერპრეტაცია, რომლის არსიც აბსოლუტურად საწინააღმდეგოს გულისხმობდა – იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებების, მათ შორის ბინით უზრუნველყოფის უფლების დადასტურებას სახელმწიფოს, როგორც ერთი მთლიანის და არა რომელიმე კონკრეტული აღმასრულებელი უწყების მიერ. ნათელია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა შესახებ კანონის შემოღებით, საქართველო მიზნად ისახავდა უსახლკაროდ დარჩენილ დევნილთა მდგომარეობის შეძლებისდაგვარად შემსუბუქებას. ეს სანაქებო ვალდებულება შემთხვევით დაემთხვა ქვეყნის ფარგლებს შიგნით იძულებით გადაადგილების შესახებ გაეროს სახელმძღვანელო პრინციპებს (იხ. §§ 67 და 70; ასევე იხ. *Doğan and Others*, ხსენებული ზემოთ §154). სასამართლო ამასთან დაკავშირებით მიუთითებს, რომ სხვა წევრი ქვეყნებისათვის, რომლებსაც გამოუცდიათ მოსახლეობის მასიური მიგრაცია სამხედრო კონფლიქტების გამო, არ არის უჩვეულო საკანონმდებლო აქტების გამოცემა, რომელთა მიზანია ბინით უზრუნველყოფის მსგავსი გარანტიების შექმნა დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთათვის, რომლებიც დროებით არიან შესახლებულნი სხვადასხვა საცხოვრისში (იხ. *Radanović v. Croatia*, no. 9056/02, §§ 27, 29, 45-46 and 49, 21 December 2006, and *Akimova v. Azerbaijan*, no. 19853/03, §§ 21-25 and 47-48, 27 September 2007).

116. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ უზენაესი სასამართლოს პოზიცია პირველი მომჩივნის სიტუაციისადმი ეწინააღმდეგება მისსავე განაჩენს, რომელიც მან მსგავს საქმეზე – „*ბინთიბიძე და სხვები*“ გამოიტანა 2001 წ. 28 ნოემბერს. ამ საქმეში უზენაესმა სასამართლომ სახელმწიფო უწყებას აუკრძალა სახელმწიფო საკუთრებაში მყოფი საცხოვრებელი შენობის ჩამორთმევა დევნილთათვის, რომლებიც პირველი მომჩივნის მსგავსად აღნიშნულ შენობაში 1993 წლიდან ცხოვრობდნენ ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს ნებართვის გარეშე (დამატებითი დეტალებისათვის იხ. §69). სასამართლო განმეორებით მიუთითებს, რომ როდესაც ასეთი, აშკარადდ ურთიერთსაწინააღმდეგო გადაწყვეტილებები მომდინარეობს ერთიდაიმავე იურისდიქციიდან და შეუსაბამობის არანაირი გონივრული ახსნა-განმარტება არ არის წარმოდგენილი, ასეთ გადაწყვეტილებებს თვითნებურობის ელფერი დაჰკრავს (იხ. *Beian v. Romania (no. 1)*, no. 30658/05, §§ 37-40, ECHR 2007-XIII (extracts); *Vinčić and Others v. Serbia*, nos. 44698/06, 44700/06, etc., §56, 1 December 2009; *Tudor Tudor v. Romania*, no. 21911/03, §29, 24 March 2009).

117. ზემოთ მოყვანილი დასკვნების ფონზე, სასამართლო ადგენს, რომ ჩარევა პირველი მომჩივნის მიერ მფლობელობის მშვიდობიან სარგებლობაში არ იყო კანონიერი, ხოლო მომყოლი, თვითნებური ხასიათის მატარებელი სამართლებრივი განხილვა უტოლდებოდა სამართლიანობის უარყოფას. ამ დასკვნის ფონზე ზედმეტია იმის გარკვევა, ჩარევა მართლზომიერ მიზნებს ემსახურებოდა თუ არა, და

თუ კი, დაცული იყო თუ არა სამართლიანი ბალანსი (see, *Akimova*, cited above, §§ 39-51, 27 September 2007, and *Khamidov*, cited above, §§ 141-145).

118. ამგვარად, ადგილი ჰქონდა № 1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის დარღვევას.

2. კონვენციის მე-8 მუხლის საგარაუდო დარღვევა

119. კონვენციის მე-8 მუხლი შემდეგნაირად იკითხება:

„1. ყველას აქვს უფლება, პატივი სცენ მის . . . საცხოვრებელს.

2. დაუშვებელია ამ უფლების განხორციელებაში საჯარო ხელისუფლების ჩარევა, გარდა ისეთი შემთხვევისა, როდესაც ასეთი ჩარევა ხორციელდება კანონის შესაბამისად და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების ან ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებისათვის, უწესრიგობის ან დანაშაულის თავიდან ასაცილებლად ... თუ სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დასაცავად.“

120. მთავრობამ უარყო, ამ დებულების რომელიმე ნაწილის დარღვევა, იმავე მიზეზთა გამო, რომლებიც, № 1 დამატებითი ოქმის 1 მუხლთან დაკავშირებით, ფიგურირებდა სასამართლოს გადაწყვეტილებაში საქმეზე „*ჩეკმენი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ*“ ([GC], no. 27238/95, § 99, ECHR 2001-I), მთავრობამ დამატებით აღნიშნა, რომ, კონვენციის მე-8 მუხლი არ იძლევა საცხოვრებლით უზრუნველყოფის გარანტიას.

121. მომჩივანი არ დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას.

122. სასამართლოს უდავოდ მიაჩნია, რომ კოტეჯის ჩამორთმევა, რომელიც იყო პირველი მომჩივნის ბინა ათ წელზე მეტხანს, № 1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის დარღვევასთან ერთად, წარმოადგენდა უკანონო ჩარევას მის საცხოვრებლის პატივისცემის უფლებაში (იხ. *Khamidov*, cited above, §§ 119-146, and *Doğan and Others*, cited above § 159).

123. შესაბამისად, სასამართლო ასკვნის, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას.

III. პირველი მომჩივნის წინასწარი დაკავება

124. პირველი მომჩივანი კონვენციის მე-5 მუხლის 1 (გ) პუნქტის, მე-3 მუხლის, მე-4 მუხლის, მე-6 მუხლის 1-ლი და მე-3 პუნქტებისა და მე-13 მუხლის საფუძველზე წარმოდგენილ მრავალგვერდიან განცხადებებში ასაჩივრებდა მის წინასწარ პატიმრობას. კერძოდ, იგი ჩიოდა, რომ მისი დაპატიმრება იყო უკანონო იმდენად, რამდენადაც არ არსებობდა გონივრული ეჭვი იმისა, რომ მას ჰქონდა ჩადენილი აღნიშნული დანაშაულებები, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება, რომელიც აკანონებდა მის დაპატიმრებას, არ იყო საკმარისად დასაბუთებული და რომ 2006 წ. 14 და 29 ივნისის სასამართლო განხილვები იყო უსამართლო. კონვენციის მე-10 მუხლზე

დაყრდნობით, იგი ასევე ჩიოდა, რომ მისი წინასწარი პატიმრობა იყო შეკვეთილი ანგარიშსწორება მის მიერ კალაძის საქმის დამოუკიდებლად და მაღალპროფესიონალურად გამოძიების გამო.

ა. მისაღებობა

1. კონვენციის მე-5 მუხლის 1 (გ) პუნქტის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია

125. პირველმა მომჩივანმა მიუთითა, რომ იგი არ უნდა დარჩენილიყო პატიმრობაში იმის გამო, რომ მის წინააღმდეგ აღძრული სისხლის სამართლის საქმის მასალები არ შეიცავდა საკმარის მტკიცებულებებს „გონივრული ეჭვის“ სტანდარტის დასასაბუთებლად, როგორც ამას ხსნის კონვენციის 5 მუხლის 1 (გ) პუნქტი. კერძოდ, მისი კოტეჯის ჩხრევის გარშემო არსებულ გარემოებებზე დაყრდნობით, იგი აცხადებდა, რომ ჩხრევის შედეგები არ წარმოადგენდა სათანადო მტკიცებულებებს.

126. სასამართლო განმეორებით მიუთითებს, რომ „გონივრული ეჭვის“ არსებობა წინასწარ უშვებს ფაქტების ან ინფორმაციის არსებობას, რომლებიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებს, რომ პირს ჩადენილი აქვს დანაშაული (იხ. *Fox, Campbell and Hartley v. the United Kingdom*, 30 August 1990, § 32, Series A no. 182). მეტიც, საეჭვო ფაქტებს არ უნდა ჰქონდეს განსაზღვრულობის იგივე დონე, როგორც იმ ფაქტებს, რომელთა არსებობა ამართლებს მსჯავრს ან თუნდაც ბრალის წაყენებას, რასაც ადგილი აქვს სისხლის სამართლებრივი გამოძიების პროცესის უფრო გვიან ეტაპზე (იხ. *Murray v. the United Kingdom*, 28 October 1994, § 55, Series A no. 300-A).

127. სასამართლო მიუთითებს, რომ ცეცხლსასროლი იარაღისა და კონფიდენციალური დოკუმენტების უკანონო შენახვის ეპიზოდი ემყარებოდა მომჩივნის კოტეჯის ჩხრეკას, რომელიც კანონიერებაც მოგვიანებით, სათანადო წესით იქნა დამოწმებული სასამართლოს მიერ (იხ. §55). თუმცა, რომც მივიჩნიოთ, რომ არსებობს ამ მტკიცებულებების ეჭვქვეშ დაყენების საფუძველი, სასამართლო მიუთითებს, რომ პირველი მომჩივანი მხოლოდ ამ საფუძველზე არ დაუპატიმრებიათ (იხ. §54). პირიქით, მისი დაპატიმრება და პატიმრობაში ყოფნა სასამართლოს მოლოდინში ძირითადად ეფუძნებოდა მეორე ეპიზოდს, რომელიც უკავშირდება მტკიცებულებათა გაყალბებას, პირისადმი უდიერ მოპყრობასა და საჯარო სამსახურში უფლებამოსილების გადამეტების სხვა ფაქტებს. მეორე ეპიზოდი ეფუძნებოდა დაზარალებულის მაინკრიმინირებელ განცხადებებს და კალაძის საქმის გამოძიების მსვლელობისას გენერალური პროკურატურის მიერ მოპოვებულ სხვა ინფორმაციას (იხ. §§ 56-57). საქმის მასალების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ სულ მცირე, მეორე ეპიზოდთან დაკავშირებით არსებობდა შესაბამისი ინფორმაცია, რომელიც ობიექტურ დამკვირვებელს დაარწმუნებდა საჯარო სამსახურში ჩადენილი დანაშაულებების არსებობაში, რა დროსაც პირველი მომჩივანი იმყოფებოდა პატიმრობაში (შეად. *Ramishvili and Kokhreidze v. Georgia*

(dec.), no. 1704/06, 27 June 2007, and *Galushvili v. Georgia*, no. 40008/04, § 33-34, 17 July 2008).

128. აქედან გამომდინარე, კონვენციის მე-5 მუხლის 1 (გ) პუნქტის საფუძველზე წამოყენებული პრეტენზია აშკარად საფუძველს მოკლებულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების შესაბამისად.

2. კონვენციის მე-5 მუხლის (§§ 3 და 4) საფუძველზე წამოყენებული პრეტენზიები

129. სასამართლო მიუთითებს, რომ პირველი მომჩივნის პრეტენზია სასამართლო გადაწყვეტილებებში ადეკვატური დასაბუთების ნაკლებობისა და მისი დაკავების საკითხის გარშემო 2006 წ. 14 და 29 ივნისს შემდგარი სასამართლო განხილვების უსამართლობის შესახებ, რომლებიც ექვემდებარება გამოკვლევას კონვენციის მე-5 მუხლის (§§ 3 და 4) საფუძველზე, აშკარად საფუძველს მოკლებული არ არის კონვენციის 35-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად. სასამართლო ასევე მიუთითებს, რომ ისინი დაუშვებლად არ შეიძლება ჩაითვალოს რაიმე სხვა საფუძველზე. შესაბამისად ისინი დასაშვებად უნდა იქნას მიჩნეული.

3. სხვა პრეტენზიები

130. იმდენად, რამდენადაც კონვენციის მე-5 მუხლი არის სპეციალური კანონი (*lex specialis*) დაკავების საკითხებთან მიმართებაში, არ არის საჭირო იგივე საკითხის განხილვა კონვენციის მე-6 (§§ 1 და 3) და მე-13 მუხლების საფუძველზე (იხ. *Patsuria v. Georgia*, no. 30779/04, § 92, 6 November 2007, and *Ramishvili and Kokhreidze*, ხსენებული ზემოთ).

131. რაც შეეხება კონვენციის მე-10 მუხლზე დამყარებულ პრეტენზიას, სასამართლო მიუთითებს, რომ იგი სრულიად დაუსაბუთებელია.

132. კონვენციის მე-6 (§§ 1 და 3), მე-10 და მე-13 მუხლების საფუძველზე წარმოდგენილი პრეტენზიები აშკარად საფუძველს მოკლებულია და არ უნდა დაკმაყოფილდეს 35-ე მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების თანახმად.

ბ. საქმის ფაქტობრივი გარემოებები

1. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის სავარაუდო დარღვევა

133. პირველი მომჩივანი ჩიოდა, რომ სასამართლოს 6, 14 და 29 ივნისის გადაწყვეტილებები, რომელთა ძალითაც მოხდა მისი წინასწარი დაკავება, არ

ყოფილა სათანადო წესით დასაბუთებული. აღნიშნული გადაწყვეტილებები შეიცავდა ან შაბლონიდან აღებულ ფრაზებს ან დაკავების დაწესების შესახებ პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობიდან ამოღებულ აბზაცებს, მათი საქმის გარემოებებთან დაკავშირების გარეშე.

134. მთავრობამ სადავოდ გახადა აღნიშნული არგუმენტი და საჩივარა, რომ აღნიშნულ სასამართლო გადაწყვეტილებებში მოცემული დასაბუთება ადეკვატური იყო.

135. კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი შემდეგნაირად იკითხება:

„ამ მუხლის 1-ლი (გ) პუნქტის დებულებების თანახმად, დაკავებული ან დაპატიმრებული ყველა პირს ... უფლება უნდა ჰქონდეს, მისი საქმე განიხილოს სასამართლომ გონივრულ ვადაში, ან გათავისუფლდეს საქმის განხილვის განმავლობაში. გათავისუფლება შეიძლება უზრუნველყოფილ იქნეს სასამართლო პროცესზე გამოცხადების გარანტიებით“.

ა. რაც შეეხება 2006 წ. 6 და 14 ივნისის გადაწყვეტილებებს

136. სასამართლო მიუთითებს, რომ სასამართლოს 6 და 14 ივნისის გადაწყვეტილებები წარმოადგენს ერთიდაიგივე *habeas corpus*-ის პროცედურის ორ ინსტანციას, რომლებიც შეეხება მომჩივნის წინასწარი პატიმრობის საწყის პერიოდს. შედეგად, დაკავების ვადის გონივრულობის დასადგენად, კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით, აღნიშნულ გადაწყვეტილებებში მოცემული დასაბუთება, ისევე როგორც მხარეთა არგუმენტები, გამოკვლეულ უნდა იქნას მთლიანობაში (შეად. *Ramishvili and Kokhreidze*, cited above; *Galushvili*, cited above, §§ 46 and 48, 17 July 2008; *Jabłoński v. Poland*, no. 33492/96, § 79, 21 December 2000).

137. სასამართლო მიუთითებს, რომ აღკვეთის ზომად დაკავების შეფარდების შესახებ პროკურორის მიერ შეტანილი შუამდგომლობის ერთ-ერთი საფუძველი, რაც დააკმაყოფილა სასამართლომ, საკმარისად ახლო კავშირში იყო საქმის გარემოებებთან. კონკრეტულად, იყო იმის შიში, რომ გათავისუფლების შემთხვევაში, პირველი მომჩივანი ისარგებლებდა მისი, როგორც ყოფილი ძალოვანი მაღალჩინოსნის ავტორიტეტით და შეეცდებოდა მხარეებზე ზეგავლენის მოხდენას. სასამართლოს არ მიაჩნია, რომ დასაბუთების ეს ხაზი აშკარად არაგონივრული ან შეუსაბამო იყო მოცემული დროისათვის. ამგვარად, აღნიშნულ ორ გადაწყვეტილებაში მითითებული დაკავების პერიოდი – 25 დღე – 2006 წ. 4 ივნისიდან – მისი დაპატიმრების დღიდან 29 ივნისამდე, როდესაც მოხდა მისი დაკავების საკითხის გადასინჯვა – არ შეიძლება ჩაითვალოს არაგონივრულად კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით (შეად. *Ramishvili and Kokhreidze*, cited above, and *Galushvili*, cited above, § 50).

138. სასამართლო ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას სასამართლოს 6 და 14 ივნისის გადაწყვეტილებებთან მიმართებაში.

ბ. რაც შეეხება 2006 წ. 29 ივნისის გადაწყვეტილებას

139. სასამართლო მიუთითებს, რომ 2006 წ. 29 ივნისის, პირველი მომჩივნის დაკავების გადაწყვეტილების ძალაში დატოვებით, თბილისის საქალაქო სასამართლომ, იმის ნაცვლად, რომ შეესრულებინა მისი ვალდებულება და დამაჯერებელი წესით დაედგინა კონკრეტული ფაქტების არსებობა, რომლებიც გაამართლებდა ხანგრძლივ დაკავებას და განეხილა ალტერნატიული, არა-საპატიმრო აღკვეთის ზომები, იმოქმედა სათანადო გულმოდგინების გარეშე და გამოსცა შაბლონული გადაწყვეტილება წინასწარ დაბეჭდილი, აბსტრაქტული ტერმინებით გაჯერებული სამოტივაციო ნაწილით. ამ ნაკლოვანმა გადაწყვეტილებამ პირველი მომჩივანი დააბრუნა პატიმრობაში დამატებითი 6 თვითა და 24 დღით (იხ. §62). დაკავების ეს პერიოდი არ შეიძლება ჩაითვალოს გონივრულად თუ მას განვიხილავთ შესაბამისი დასაბუთების არარსებობის ფონზე (იხ. *Giorgi Nikolaishvili*, cited above, §§ 73, 76 and 79, and *Patsuria*, ხსენებული ზემოთ, § 74).

140. სასამართლო ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას 2006 წ. 29 ივნისის სასამართლო გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით.

2. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევა

141. პირველი მომჩივანი ჩიოდა, რომ 2006 წ. 14 და 29 ივნისის სასამართლო განხილვები იყო უსამართლო, იმდენად, რამდენადაც არ ჩატარებულა ზეპირი მოსმენები.

142. მთავრობის განცხადებით, პირველი მომჩივნისა და მისი ორი ადვოკატის ზეპირი არგუმენტები სათანადო წესით იქნა მოსმენილი 2006 წ. 6 ივნისს გამართულ სხდომაზე, და ამდენად, არ იყოს საჭირო, რომ თბილისის სააპელაციო სასამართლოში გამართულიყო კიდევ ერთი ზეპირი მოსმენა 2006 წ. 14 ივნისს. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის მიზნებიდან გამომდინარე, საკმარისი იყო პირველი მომჩივნის წერილობითი მიმართვა სააპელაციო სასამართლოსადმი, რაზეც მან, 2006 წ. 14 ივნისის გადაწყვეტილებით, საკმარისად დასაბუთებული პასუხები მიიღო თითოეულ არგუმენტზე.

143. მთავრობამ ასევე გაამართლა ზეპირი მოსმენის არარსებობა 2006 წ. 29 ივნისს პირველი მომჩივნის დაკავების უკანონის გამოკვლევის დროს, რისთვისაც მიმართა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს.

144. მომჩივანს კომენტარი არ გაუკეთებია მთავრობის არგუმენტებზე.

145. კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი მდგომარეობს შემდეგში:

„ყველას, ვისაც აღკვეთა თავისუფლება დაკავების ან დაპატიმრების მეშვეობით, უფლება აქვს დაიწყოს სამართლებრივი პროცესი, რომლის მეშვეობით სასამართლო დაჩქარებული წესით დაადგენს

მისი დაკავების კანონიერებას და დაკავების უკანონობის გამოვლენის შემთხვევაში გასცემს ბრძანებას მისი განთავისუფლების შესახებ“.

146. სასამართლო განმეორებით მიუთითებს, რომ მოცემული დებულება დაკავებულ პირს აძლევს უფლებას, განახორციელოს პროცედურები პროცესუალური და არსებითი გარემოებების გარშემო, რომლებიც უმნიშვნელოვანესია თავისუფლების აღკვეთის „კანონიერებისათვის“, კონვენციის ენით თუ ვისაუბრებთ (სხვა წყაროებს შორის იხ., *Brogan and Others v. the United Kingdom*, 29 November 1988, § 65, Series A no. 145-B). პროცესი უნდა იყოს შეჯიბრებითი და ყოველთვის უნდა უზრუნველყოფდეს „ძალთა თანასწორობას“ მხარეთა შორის. იმ შემთხვევაში თუ პირის დაკავება ექცევა კონვენციის მე-5 მუხლის 1 (გ) პუნქტის ფარგლებში, ზეპირი მოსმენა აუცილებელია (სხვა წყაროებს შორის იხ., *Nikolova v. Bulgaria* [GC], no. 31195/96, § 58, ECHR 1999-II). თუმცა, კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი არ უნდა იქნას წაკითხული ისე, თითქოს იგი მოითხოვდეს, რომ დაკავების საკითხის სასამართლო განხილვას უნდა ახლდეს დაცვის იგივე ხარისხი, რასაც ითვალისწინებს კონვენციის მე-6 მუხლი სისხლის სამართლის ან სამოქალაქო დავებისათვის (იხ. *Włoch v. Poland*, no. 27785/95, § 125, ECHR 2000-XI).

ა. რაც შეეხება 2006 წ. 14 ივნისის სასამართლო განხილვას

147. სასამართლომ თავიდან აღნიშნა, რომ პირველი მომჩივნის დაკავების საკითხის პირველ ინსტანციაში განხილვის დროს, 2006 წ. 6 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლომ სათანადო წესის დაცვით მოისმინა პირველი მომჩივნისა და მისი ორი ადვოკატის ზეპირი არგუმენტები (იხ. §59). საქმის მასალა არ შეიცავს ისეთ ფაქტს ან ინფორმაციას, რომელიც შეიძლება მიუთითებდეს სადავო საკითხის არსებობაზე პირველი მომჩივნის შეჯიბრებითი პროცესის უფლებასა და ძალთა თანასწორობასთან დაკავშირებით; ეს პირველ მომჩივანს სადავოდ არ გაუხდია.

148. სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ პროკურორს არ უპასუხია პირველი მომჩივნის საჩივარზე, რომელშიც მან გააპროტესტა პირველი ინსტანციის სასამართლოს 2006 წ. 6 ივნისის გადაწყვეტილება (იხ. §61). შესაბამისად, პირველ მომჩივანს არ შეუძლია იდავოს, რომ, ზეპირი მოსმენის არარსებობის გამო, მან დაკარგა მეორე მხარის არგუმენტების მოსმენისა და საჭიროების შემთხვევაში – კომენტარის გაკეთების შესაძლებლობა 2006 წ. 14 ივნისსა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანამდე (იხ., conversely, *Toth v. Austria*, 12 December 1991, § 84, Series A no. 224; *Giorgi Nikolaishvili*, cited above, §§ 93 and 94; *mutatis mutandis*, *Depa v. Poland*, no. 62324/00, §§ 46-48, 12 December 2006).

149. და ბოლოს, იმის გათვალისწინებით, რომ თავის 2006 წ. 14 ივნისის გადაწყვეტილებაში, თბილისის საქალაქო სასამართლომ უპასუხა პირველი მომჩივნის მიერ წამოყენებულ ყველა მთავარ არგუმენტს (იხ. §61), სასამართლოს არ აქვს იმის მიზეზი, რომ ეჭვი შეიტანოს შესაბამისი წერილობითი პროცედურის

ეფექტურობაში. გასათვალისწინებელია, რომ სამართლებრივი არგუმენტები, ისევე როგორც ფაქტობრივი საკითხები, ერთნაირი წარმატებით შეიძლება გადმოიცეს როგორც წერილობით, ისე ზეპირად (იხ., *mutatis mutandis, Rizhamadze v. Georgia*, no. 2745/03, §§ 40-42, 31 July 2007).

150. სასამართლო ასკვნის, რომ იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ პირველმა მომჩივანმა და მისმა ორმა ადვოკატმა მიიღეს შეჯიბრებითი ზეპირი მოსმენა პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო პროკურორს არ უპასუხია დაკავების ორდერის შესახებ მის მიერ შეტანილ საჩივარზე, თბილისის სააპელაციო სასამართლოში ზეპირი მოსმენის არ-ჩატარება 2006 წ. 14 ივნისს, არ შეიძლება მიჩნეულ იქნას ძალთა თანასწორობისა და შეჯიბრებითობის პრინციპების ძირგამომთხრელ ქმედებად პირველი მომჩივნის საზიანოდ.

151. ამგვარად, ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას.

ბ. რაც შეეხება 2006 წ. 29 ივნისის სასამართლო განხილვას

152. რაც შეეხება ზეპირი მოსმენის არ-ჩატარებას 2006 წ. 29 ივნისს, რა დროსაც თბილისის საქალაქო სასამართლომ მხოლოდ პროკურორის განცხადებაზე დაყრდნობით დააკანონა პირველი მომჩივნის ხანგრძლივი დაკავება, სასამართლო მიუთითებს, რომ ამგვარი სიტუაცია უკვე იქნა მიჩნეული კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტთან შეუთავსებლად მსგავს საქმეში (*გიორგი ნიკოლაიშვილი*, §§ 93-96).

153. ამგვარად, ადგილობრივი კანონმდებლობისა და პრაქტიკის მიხედვით, ასევე მოცემულ საქმეში, პროკურორი სარგებლობს პრივილეგიით და შეუძლია არსებითი განხილვისას სასამართლოს წარუდგინოს მიმართოს საბრალდებო დასკვნა და მასთან ერთად არგუმენტები ხანგრძლივი დაკავების თაობაზე, რასაც ვერ გახდის სადავოდ პირველი მომჩივანი, ვერ წერილობითი და ვერც ზეპირი არგუმენტების დროს. 2006 წ. 29 ივნისის სასამართლო განხილვა ვერ ჩაითვლება შეჯიბრებითობის ნიშნის მატარებლად, სადაც დაცული იყო ძალთა თანასწორობის პრინციპი. გადაწყვეტილების ფორმაც კი – შაბლონი, რომელშიც დასკვნა წინასწარ იყო ჩაბეჭდილი – ხაზს უსვამს იმას, რომ 2006 წ. 29 ივნისს, თბილისის საქალაქო სასამართლოს არ ჩაუტარებია განხილვა სათანადო წესების დაცვით (იხ. *Giorgi Nikolaishvili*, cited above, §§ 39 and 93-96, and *Belevitskiy v. Russia*, no. 72967/01, § 111, 1 March 2007).

154. ამგვარად, ადგილი აქვს კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას 2006 წ. 29 ივნისის სასამართლო განხილვასთან მიმართებაში.

IV კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენება

155. კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად:

„თუ სასამართლო დაადგენს, რომ დაირღვა კონვენცია და მისი ოქმები, ხოლო შესაბამისი მაღალი ხელშემკვრელი მხარის შიდასახელმწიფოებრივი სამართალი დარღვევის მხოლოდ ნაწილობრივი გამოსწორების შესაძლებლობას იძლევა, საჭიროების შემთხვევაში, სასამართლო დაზარალებულ მხარეს სამართლიან დაკმაყოფილებას მიაკუთვნებს.“

ა. ზიანი

156. მომჩივნები ითხოვენ 1.220 ევროს, 10.570 აშშ. დოლარს (7.712 ევრო) და 679,721 ლარს (289,673.12 ევრო) მატერიალური ზიანის – ძვირფასი ნივთებისა და კოტეჯში არსებული სხვა მოძრავი ქონების სანაცვლოდ. მომჩივნებმა ასევე მოითხოვეს 90.000 ევროს ოდენობის კომპენსაცია სახელმწიფოს მიერ კოტეჯის სანაცვლოდ ალტერნატიული საცხოვრებლით არ-უზრუნველყოფის სანაცვლოდ. მათ საჩივარეს, რომ გაიტანენ ამ უკანასკნელ მოთხოვნას თუ სახელმწიფო დათანხმდება მათთვის კოტეჯზე მფლობელობის აღდგენაზე აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარებამდე, როგორც ამას ითხოვს დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კანონი. და ბოლოს, მომჩივნები ითხოვენ 75.000 ევროს მორალური ზიანის ასანაზღაურებლად.

157. მთავრობის განცხადებით, მომჩივანთა მოთხოვნები აშკარად უსაფუძვლო და გადაჭარბებულია. მთავრობამ ასევე აღნიშნა, რომ თუ სასამართლო ამ საქმეში დარღვევას დაადგენს, ეს უკვე იქნება სამართლიანი დაკმაყოფილება.

158. დაუშვებლობის თაობაზე გაკეთებული დასკვნების გამეორებით (იხ. §§ 84 და 96), სასამართლო უარყოფს პირველი მომჩივნის მოთხოვნას მატერიალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, რომელიც უკავშირდება მოძრავი ქონების დაკარგვას და დანარჩენი ხუთი მომჩივნის ყველა მოთხოვნას მორალური და მატერიალური ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

159. თუმცა, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი მომჩივნის მიერ კოტეჯის სანაცვლოდ მოთხოვნილი კომპენსაცია მიზეზობრივ კავშირშია კონვენციის მე-8 მუხლითა და №1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლით მისთვის მინიჭებული უფლებების დარღვევასთან. როგორც საჩივარის ფორმულირებიდან ჩანს, პირველი მომჩივანი ითხოვს *restitutio in integrum* - პირველადი მდგომარეობის აღდგენას, რაც გონივრულად მიაჩნია სასამართლოს. ამასთან დაკავშირებით, განმეორებით უნდა ითქვას, რომ გადაწყვეტილება, რომელშიც სასამართლო აღმოაჩენს კონვენციის ან მისი დამატებითი ოქმების დარღვევას, მოპასუხე სახელმწიფოს აკისრებს სამართლებრივ ვალდებულებას, რაც მოიცავს არამარტო სასამართლოს მიერ დაკისრებული თანხების ანაზღაურებას, არამედ ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის ზედამხედველობით, ზოგადი ან/და ინდივიდუალური ღონისძიებების

შერჩევას ადგილობრივ სამართლებრივ სისტემაში დასანერგად, რითაც ბოლო მოეღება სასამართლოს მიერ აღმოჩენილ დარღვევებს. მოპასუხე სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ყველა შესაძლო ღონისძიება დარღვევის შედეგებთან მიმართებაში, ისე რომ მაქსიმალურად იქნას აღდგენილი დარღვევამდე არსებული მდგომარეობა (იხ., სხვათა შორის, *Apostol v. Georgia*, no. 40765/02, § 71, ECHR 2006-...; *FC Mretubi v. Georgia*, no. 38736/04, § 61, 31 July 2007; and *Assanidze*, cited above, § 198).

160. საქმეში არსებული დასკვნებისა და ფაქტების შესწავლის საფუძველზე და ასევე, კონვენციის მე-8 მუხლითა და №1 დამატებითი ოქმით პირველი მომჩივნისათვის მინიჭებული უფლებების დარღვევის გამოსასწორებელი სხვა შესაძლო ზომებისთვის ზიანის მიყენების გარეშე, სასამართლოს მიაჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების ყველაზე შესაბამისი ფორმა იქნება *restitutio in integrum* (პირველადი მდგომარეობის აღდგენა) დევნილთა და იძულებით გადაადგილებულ პირთა კანონის საფუძველზე, ანუ კოტეჯის დაბრუნება პირველი მომჩივნის მფლობელობაში კონფლიქტის მოგვარებამდე, რაც შესაძლებელს გახდის მის უსაფრთხო და ღირსეულ დაბრუნებას მის საკუთარ საცხოვრებელში აფხაზეთში - საქართველო. ალტერნატიულად, თუ კოტეჯის დაბრუნება შეუძლებელი იქნება, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველი მომჩივნის მოთხოვნა დაკმაყოფილდება მისთვის, როგორც იძულებით გადაადგილებული პირისათვის შესაფერისი საცხოვრებლის უზრუნველყოფით ან გონივრული კომპენსაციის გადახდით კოტეჯით სარგებლობის უფლების დაკარგვის სანაცვლოდ; კომპენსაციის თანხაზე მხარეები უნდა შეთანხმდნენ გადაწყვეტილების საბოლოოდ ცნობის თარიღიდან ექვსი თვის ვადაში, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად. თუმცა, თუ მხარეები ვერ შეძლებენ თანხმობის მიღწევას მოცემულ პერიოდში, სასამართლო იტოვებს შემდგომი პროცედურის განხორციელების უფლებას კომპენსაციის თანხის დადგენის მიზნით, კონვენციის 41-ე მუხლის თანახმად (რეგლამენტის მუხლი 75, §§ 1 და 4).

161. გარდა ამისა, სასამართლოს უდავოდ მიაჩნია, რომ პირველ მომჩივანს შეექმნა გარკვეული შეფერხებები და უსიამოვნებები კონვენციის №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლით გათვალისწინებული მრავალი უფლების დარღვევის შედეგად. შესაბამისად, მიყენებული მორალური ზიანი სათანადოდ ვერ ანაზღაურდება მხოლოდ დარღვევის აღიარებითა და დადგენით. ხელმძღვანელობს რა სამართლიანობის პრონციპით, სასამართლო მომჩივანს მიაკუთვნებს 15.000 ევროს აღნიშნული კუთხით.

ბ. ხარჯები

162. მომჩივნის წარმომადგენლებმა მოითხოვეს უზენაესი სასამართლოსათვის გადახდილი სასამართლო ბაჟის ანაზღაურება 1.200 ლარის (510 ევრო)ოდენობით, ასევე 132.65 ლარისა და 250 აშშ, დოლარის (სულ – 242 ევრო) – წარმოდგენილი ქვითრების თანახმად, ეს თანხები დაიხარჯა საფოსტო მომსახურებასა და თარგმანზე სასამართლო პროცესის მიმდინარეობისას. მომჩივნის წარმომადგენლებმა ასევე

მოითხოვეს 16.100 ლარი (6.834 ევრო) მომჩივნებისათვის ადგილობრივ სასამართლოებსა და სასამართლოში გაწეული იურიდიული დახმარების სანაცვლოდ. აღნიშნული მოთხოვნის დასადასტურებლად, არ ყოფილა წარმოდგენილი რაიმე ქვითარი, კონტრაქტი ან სხვა დოკუმენტი; წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ ისინი უსასყიდლოდ უწევდნენ მომსახურებას მომჩივნებს, მათი მძიმე სოციალური და ფინანსური მდგომარეობის გათვალისწინებით.

163. მთავრობამ საჩივარა, რომ თუკი ადვოკატები უსასყიდლოდ უწევდნენ მომსახურებას მომჩივნებს, მათთვის რაიმე კომპენსაციის გადახდა არ იყო საჭირო.

164. სასამართლოს პრაქტიკის თანახმად (იხ. *Ghvtadze v. Georgia*, no. 23204/07, §§ 118 and 120, 3 March 2009), პრეტენზიებისა და მოთხოვნების საქმესთან შემხებლობის დადგების გზით, არასაკმარისი დოკუმენტური მტკიცებულებების გათვალისწინებით, სასამართლოს მიაჩნია, რომ პირველ მომჩივანს უნდა აუნაზღაურდეს 510 ევრო - საკასაციო პროცესის ხარჯი და 242 ევრო - საფოსტო და სათარჯიმნო მომსახურებების ხარჯი.

გ. საურავი

165. სასამართლოს საჭიროდ მიაჩნია, რომ საურავის ოდენობა დადგინდეს ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის მიხედვით, რასაც დაემატება სამი პროცენტი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო

1. ერთხმად აცხადებს დასაშვებად პირველი მომჩივნის პრეტენზიებს კონვენციის მე-5 მუხლის (§§ 3 და 4), მე-8 მუხლისა და №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის საფუძველზე, ხოლო საჩივარის დანარჩენ ნაწილს ცნობს დაუშვებლად;

2. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას 2006 წ. 6 და 14 ივნისის გადაწყვეტილებებთან მიმართებაში;

3. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-3 პუნქტის დარღვევას 2006 წ. 29 ივნისის გადაწყვეტილებებთან მიმართებაში;

4. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი არ ჰქონია კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას 2006 წ. 14 ივნისის სასამართლო განხილვასთან მიმართებაში;

5. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის დარღვევას 2006 წ. 29 ივნისის სასამართლო განხილვასთან მიმართებაში;

6. ერთხმად ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა კონვენციის მე-8 მუხლის დარღვევას კოტეჯის ჩამორთმევის გამო;

7. 6 ხმით 1-ის წინააღმდეგ ადგენს, რომ ადგილი ჰქონდა №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის დარღვევას კოტეჯის ჩამორთმევასთან დაკავშირებით;

8. 6 ხმით 1-ის წინააღმდეგ ადგენს, რომ

ა. თუ კოტეჯის დაბრუნება შეუძლებელი იქნება, მოპასუხე სახელმწიფომ პირველი მომჩივანი, როგორც იძულებით გადაადგილებული პირი, უნდა უზრუნველყოს შესაფერისი საცხოვრებლით ან გონივრული კომპენსაციით ორმხრივი შეთანხმების საფუძველზე (იხ. §160), მოპასუხე სახელმწიფოს ეროვნულ ვალუტაში, თანხაზე დარიცხული ნებისმიერი გადასახადის ჩათვლით, გადაწყვეტილების საბოლოო ძალაში შესვლის თარიღიდან ექვსი თვის ვადაში, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად.

ბ. თუ მხარეები ვერ შეძლებენ თანხმობის მიღწევას მოცემულ პერიოდში, სასამართლო თავად დაადგეს მთავრობის მიერ გადასახდელი თანხის ოდენობას (იხ. §160);

შესაბამისად,

I. იტოვებს კონვენციის 41-ე მუხლის გამოყენების უფლებას;

II. მთავრობასა და პირველ მომჩივანს სთხოვს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილების საბოლოო ძალაში შესვლის თარიღიდან ექვსი თვის ვადაში წარმოადგინონ წერილობითი არგუმენტები საკითხზე და კერძოდ აცნობონ სასამართლოს მათ მიერ მიღწეული რაიმე შეთანხმების შესახებ;

III. იტოვებს შემდგომი პროცედურების განხორციელების უფლებას და პალატის თავმჯდომარეს გადასცემს უფლებამოსილებას იგივე უფლების განხორციელებისათვის, საჭიროების შემთხვევაში.

9. ერთხმად ადგენს, რომ

ა) მოპასუხე სახელმწიფომ, მომჩივანს, კონვენციის 44-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების ძალაში შესვლის დღიდან სამი თვის განმავლობაში, გადახდის დღეს არსებული კურსით, ეროვნულ ვალუტაში, უნდა გადაუხადოს:

ი. 15.000 (თხუთმეტი ათასი ევრო) ევრო მორალური ზიანის ანაზღაურების სახით, რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

იი. 752 ევრო (შვიდას ორმოცდათორმეტი ევრო) გაწული ხარჯების ანაზღაურების სახით. რომელსაც დაემატება ნებისმიერი საშემოსავლო გადასახადი, რომელიც შეიძლება გადასახდელი გახდეს;

ბ. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, თანხის სრულ გადარიცხვამდე, ზემოხსენებულ თანხას საჯარიმო პერიოდის განმავლობაში დაერიცხება, გადახდის დღეს მოქმედი, ევროპის ცენტრალური ბანკის ზღვრული სასესხო განაკვეთის თანაბარი ჩვეულებრივი პროცენტები, რასაც დაემატება სამი პროცენტი ;

10. უარყოფს მომჩივნების დანარჩენ მოთხოვნებს სამართლიან დაკმაყოფილებასთან დაკავშირებით.

შესრულებულია ინგლისურ ენაზე და მხარეებს ეცნობათ წერილობით 2010 წ. 27 მაისს, სასამართლოს რეგლამენტის 77-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების შესაბამისად.

სალი დოლე
სექციის რეგისტრატორი

ფრანსუაზ ტულკენსი
თავმჯდომარე

კონვენციის 45-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და რეგლამენტის 74-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილებას დართული აქვს შემდეგი მოსაზრებები:

ა. მოსამართლე იოჩიენეს ნაწილობრივ თანმხვედრი მოსაზრება;

ბ. მოსამართლე კაბრალ ბარეტოს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება.

მოსამართლე იოჩიენეს ნაწილობრივ თანმხვედრი მოსაზრება

მე ვეთანხმები პალატის დასკვნებს, როგორც ეს მოცემულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში. უმრავლესობასთან ერთად, მე ასევე ხმა მივეცი №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის დარღვევის დადგენას; თუმცა, ამ საქმეში მსურს ხაზი გავუსვა ორ გადამწყვეტ ასპექტს №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის შემხებლობასთან დაკავშირებით.

პირველ რიგში, ამ სფეროსთან მიმართებაში სასამართლოში ჩამოყალიბებული პრაქტიკის გათვალისწინებით (იხ. §§ 106 და 108 და მოსამართლე მულარონის განსხვავებული აზრი საქმეში *Öneriyildiz v. Turkey* [GC], no. 48939/99, ECHR 2004 XII) მიმაჩნია, რომ № 1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის შემხებლობის საკითხი სხვა საკითხებს კვეთავს მოცემულ საქმეში. მსურს თქვენი ყურადღება მივაქციო იმ ფაქტს, რომ პირველ მომჩივანს კოტეჯი გადაეცა იმის გამო, რომ იყო აფხაზეთის შს სამინისტროს მაღალჩინოსანი (იხ. §§ 8 და 104). სხვა გარემოებებში ამ ფკანონით ნაგულისხმევი იქნებოდა, რომ მომჩივანს შეეძლო კოტეჯით სარგებლობა აღნიშნულ სამინისტროში მსახურობის პერიოდში. შს სამინისტროდან განთავისუფლების შემდეგ მომჩივანს უნდა შეეწყვიტა იმ კოტეჯში ცხოვრება, რომელიც მას ოფიციალური მიზნებისათვის გადაეცა.

თუმცა, ამ საქმეს აქვს ძალზე სპეციფიკური გარემოებები, რომლებიც, ჩემი აზრით, განაპირობებს №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის გამოყენებას. იმ უკანონის აღიარებით, რომ კოტეჯი მას ოფიციალური მიზნით გადაეცა, აღვნიშნავ, რომ 2000 წ. 20 აპრილს, პირველმა მომჩივანმა მიიღო ოფიციალური წერილი შს სამინისტროდან, რომელიც ადასტურებდა, რომ ის და მისი ოჯახი კოტეჯში დასახლდა 1994 წელს, შს მინისტრის მიერ გაცემული ბრძანების საფუძველზე, რომელიც ემყარებოდა 1996 წ. 28 ივნისის იძულებით გადაადგილებულ პირთა და დევნილთა შესახებ კანონს („იძულებით გადაადგილებულ პირთა კანონი“, იხ. გადაწყვეტილება, §12). მე ვეთანხმები 105-ე პუნქტში პალატის მიერ მოყვანილ არგუმენტებს და დამატებით აღვნიშნავ, რომ 1993-1994 წლებში საქართველოში არსებული ჰუმანიტარული კრიზისის პირობებში სახელმწიფო ვალდებული იყო, დაებინავებინა და დაეცვა იძულებით გადაადგილებული პირები. 107-ე პუნქტში პალატის მიერ მოყვანილი არგუმენტების გათვალისწინებით, რომლის თანხმადაც სახელმწიფომ, სხვადასხვა კანონის მიღებით დაადასტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა უფლებები საბინაო სექტორში და შექმნა მყარი გარანტიები მათ დასაცავად, მიმაჩნია, რომ იძულებით გადაადგილებულ პირთა დაცვის, მათ შორის საცხოვრებლით უზრუნველყოფის საკითხში სახელმწიფოს მკვეთრად გამოხატული სამართლებრივი ვალდებულება მათთვის ქმნის აშკარა მატერიალურ განზომილებას, რომელსაც იცავს №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლი.

გარდა ამისა, № 1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის გამოყენების მხარდასაჭერად მოვიყვან კიდევ ერთ არგუმენტს ამ საქმეში: საქართველოს სამმა სასამართლომ, იურისდიქციის სამ დონეზე (იხ. §§ 25-44) კონკრეტულად დაადგინა, რომ მომჩივანი „ფლობდა“ კოტეჯს (იხ. §§ 26, 36, 43 და 44). თავის პრაქტიკაში, სასამართლომ დააფიქსირა მისი სუბსიდიარული ხასიათი (იხ. *Scordino v. Italy* (no. 1) [GC],

no. 36813/97, § 140, ECHR 2006-V), რაც გულისხმობს, რომ ეროვნული უწყებების, შესაბამისად სასამართლოების საქმეა ადგილობრივი კანონის ინტერპრეტაცია და მიმართება (იხ., *mutatis mutandis*, *Kopp v. Switzerland*, 25 March 1998, § 59, *Reports of Judgments and Decisions* 1998-II).. ამ საქმეში საქართველოს სასამართლოების მიერ „ფლობის“ დაფიქსირება სადავო კოტეჯთან მიმართებაში და მისით სარგებლობა საქმეს აქცევს № 1 დამატებითი ოქმის 1-ლი მუხლის ფარგლებში.

მოსამართლე კაბრალ ბარეტოს ნაწილობრივ განსხვავებული მოსაზრება (თარგმანი)

მე შემიძლია დავეთანხმო უმრავლესობის მიერ წარმოდგენილ დასაბუთებას, გარდა იმ ნაწილისა, რომელიც შეეხება №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლით გათვალისწინებული დარღვევას.

ჩემი აზრით, პირველი მომჩივანი არ იყო რაიმე საკუთრების მფლობელი, № 1 დამატებითი ოქმის 1 მუხლში მოცემული მნიშვნელობით.

1. როგორც განაჩენის 8 პუნქტშია ნათქვამი, პირველი მომჩივანი იყო შს სამინისტროს მაღალჩინოსანი, და მას 1994 წ. იანვარში შესთავაზეს საგამომიებო დეპარტამენტის უფროსის პოსტი; მას შემდეგ, რაც მან დაიკავა პოსტი, მას და მის ოჯახს გამოუყვეს საცხოვრებელი სამინისტროს კუთვნილ კოტეჯში.

2. ჩემის აზრით, კოტეჯი მომჩივანს შესთავაზეს მისი როგორც საჯარო მოხელის სტატუსის გამო.

მომჩივანი ფლობდა აღნიშნულ საკუთრებას არა საკუთარი სახელით, არამედ მესაკუთრის – შს სამინისტროს სახელით.

მომჩივნის მიერ კოტეჯის ფლობა თუნდაც გრძელდებოდა ათ წელზე მეტხას, მომჩივანსა და საკუთრებას შორის არსებულ სამართლებრივ ურთიერთობაში არაფერი შეცვლილა.

3. თუმცა, კონკრეტულ შენობაში დასახლების უფლება, რომლის მესაკუთრეც არ არის პირი, არ უდრის საკუთრებას №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლში მოცემული მნიშვნელობით (იხ, სხვათა შორის, სასამართლოს გადაწყვეტილება საქმეზე *JLS v. Spain*, no. 41917/98, *Reports* 1999-V).

რომც ყოფილიყო ჩარევა ან რაიმე საკუთრების წართმევა, მხოლოდ მესაკუთრეს ან მფლობელს შეუძლია, საკუთარი სახელით გამოთქვას პრეტენზია №1 დამატებითი ოქმის 1 მუხლის დარღვევასთან დაკავშირებით.

4. აღნიშნულის გათვალისწინებით, უპირატესობას ვანიჭებ იმ მოვლენების განხილვას, რომლებსაც დაექვემდებარა პირველი მომჩივანი კონვენციის მე-8 მუხლის საფუძველზე, და მისი უფლების დარღვევის დადგენას მის საცხოვრებელთან დაკავშირებით.